გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

www.ilori.ge

№93 (154) 16 ნოემბერი 2010 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია მეორე: აფხაზებსა და ოსებს მეტი სითბო უნდა ვაჩვენოთ

გერმანიიდან დაბრუნებულმა უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში იქადაგა. მან ქართველებს აფხაზებისა და ოსების წინაშე მეტი პასუხისმგებლობისა და სითბოსკენ მოუწოდა. "ქართველებს მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს აფხაზების წინაშე, ოსების წინაშე. ჩვენ მეტი სულგრძელობა უნდა გამოვიჩინოთ და ქართული სითბო უნდა ვაჩვენოთ მათ.

რაც უფრო იგრძნეს ის სიცივე, რომელშიც დღეს იმყოფებიან, მით უფრო ენატრებათ ქართული სითბო და ქართველი ადამიანი", - ქადაგებს პატრიარქი.

შეგახსენებთ, უწმინდესი საქართველოში დაბრუნდა. მან გერმანიის ქალაქ ბადენბადენში ორკვირიანი არაგეგმიური სამკურნალო კურსი გაიარა. სამშობლოში დაბრუნებულმა პატრიარქმა აეროპორტში განაცხადა, რომ მას ამ ორი კვირის განმავლობაში ძალიან ენატრებოდა საქართველო და ბედნიერია, რომ სამშობლოში დაბრუნდა.

ემუქრებათ თუ არა საფრთხე ჩვენს კოლეგა მეგობრებს?

უმრავლესობის ლიდერის - პეტრე ცისკარიშვილის განცხადება

ყოველკვირეული გაზეთის **"საქართველო და მსოფლიო"** და საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის მიერ მასმედიის ამ საშუალებათა საიტებით **(www.geworld.net, www.saqinform.ge)** გავრცელებული განცხადების შემდეგ რედაქციაში დარეკა საპარლამენტო ფრაქციის **"საქართველოს ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა: **"ეს იყო ბინძური პროვოკაცია, რომლის მიზანი ჩემსა და თქვენს გამოცემას შორის მტრობის ჩამოგდებას, რეალიების გათვალისწინებით კი - მასმედიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას ისახავდა მიზნად.**

მსგავსი რამ არასდროს მითქვამს და ვერც ვიტყოდი! სამწუხაროდ, ასეთი პროვოკატორები ჩვენთან იშვიათობა არ არის. თუ მომავალშიც კვლავ გამეორდება მსგავსი რამ, დაუყოვნებლივ დამირეკეთ და შევეცდები, გამოვიყენო ყველა ხელმისაწვდომი რესურსი, რათა გამოვთვალო ანონიმი. პრესის თავისუფლება და ჟურნალისტების ხელშეუხებლობა იყო და რჩება ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად და ამგვარი პროვოკაციების უფლებას არავის მივცემთ. გამორიცხული არ არის, რომ ეს სპეციალურად იყო გაკეთებული, რათა თუ თქვენს ჟურნალისტებს ან რედაქციების ოფისებს მომავალში მართლაც რაიმე შეემთხვევა, ვიღაც ბინძურმა ადამიანებმა, რომელთაც აქვთ პრეტეზია, იწოდებოდნენ პოლიტიკურ ოპოზიციად, ამის გამო მოაწყონ პიარაქცია და პოლიტიკური ქულები ჩაიწერონ."

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ყოველკვირეულ გამოცემაში **"საქართველო და მსოფლიო"** (№40, 2010 წლის 3 ნოემბერი) გამოქვეყნდა ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია **"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის"** ხელმძღვანელ ნანა კაკაბაძესთან, რომელშიც ნახსენები იყო მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ანონიმმა წყარომ დარეკა რედაქციაში და გვაცნობა, რომ მზადდება რეპრესიები გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოსა"** და მისი პარტნიორის - **საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "საქინფორმის"** წინააღმდეგ. ანონიმურმა წყარომ, კერძოდ, გვაცნობა, რომ პუბლიკაციით განრისხებულმა ბატონმა ცისკარიშვილმა, თითქოს გასცა განკარგულება, სასწრაფოდ და ნებისმიერი მეთოდით უზრუნველეყოთ ამ ორი გამოცემის დახურვა და ზემოთ ნახსენები პუბლიკაციის ავტორის დასჯა.

МЕЖДУНАРОДНЫЙ СУД В ГААГЕ ПРИНЯЛ ИСК ПРОТИВ ПРЕЗИДЕНТА ГРУЗИИ МИХАИЛА СААКАШВИЛИ, ЗАЯВИЛ ГРУЗИНСКИЙ АДВОКАТ ШАЛВА ХАЧАПУРИДЗЕ.

По его словам, дело касается направленного Хачапуридзе иска-заявления на 150 страницах, в котором детально описываются **«совершенные властями Грузии противозаконные действия»**.

Как сообщает **«Грузия Online»**, **«Ассоциация адвокатов»** уже выразила готовность к сотрудничеству с представителями гражданского общества.

«Ни один диктатор в мире не задерживал 200 адвокатов. В условиях же нынешнего режима с 2003 года под уголовную ответственность отданы до 200 адвокатов», — заявил, комментируя иск, председатель ассоциации Заза Хатиашвили.

Напомним, 5 октября лидер лейбористов **Шалва Нателашвили** заявил, что президента Грузии **Михаила Саакашвили** следует отдать под суд. По его словам, его партия уже направила письмо соответствующего содержания в Гаагский суд по правам человека. Как утверждает Нателашвили, президент Грузии **«совершил преступление против человечества»**. Речь, по его словам, идет о массовых убийствах, уничтожении молодежи, пытках политзаключенных и т.д.

По его мнению, преступлений, совершенных **Саакашвили,** вполне достаточно для того, чтобы он был приговорен к пожизненному заключению. **Нателашвили** выразил надежду на то, что Гаагский суд примет в отношении **Саакашвили** своевременное и справедливое решение.

Грузия Online

11



ახალგაზრდა ილორელის გამარჯვება!

როლანდ ჯალაღანია: 7
რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი



ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია 9

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

სოხუმის ბულვარი

მივიწყებული სახეები

იმ წერილში ჯონჯი დადიანი გვანჯის ცხოვრებიდან ერთ საბედისწერო შემთხვევას იხსენებს: მეოცე საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთსა და სამეგრელოში თურმე სახელგანთქმულ ყაჩაღად ითვლებოდა სამურზაყანოელი თავადი – გიდი თადას ძე ემუხვარი. მისი გაყაჩაღება ასე მომხდარა: ვინმე მარდანიამ მის ძიძიშვილებს უსამართლოდ ცხენის ქურდობა დააბრალა და დააჭერინა. ამის გამგონე გიდი, კაზაკ-რუსებს მიუვარდა და შეეცადა ძიძიშვილები მათგან გაენთავისუფლებინა. შეიარაღებული შეტაკებისას გიდის ერთ-ერთი კაზაკი შემოაკვდა. პოლიცია მას კარგა ხანს დევნიდა, მაგრამ მოხერხებული და უშიშარი ვაჟკაცი მდევრებს ყოველთვის უსხლტებოდათ ხელიდან. ბოლოს, თავადს მობეზრდა ტყეში ცხოვრება და მთავრობას ჩაბარდა. მას თორმეტი წლით შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. შვიდი თვის შემდეგ, დედის გარდაცვალების გამო, გიდი ემუხვარი გაიქცა და აფხაზეთში დაბრუნდა.

გაგრძელდა მისი დევნა. ერთ დღეს, ავადმყოფ ემუხვარს ძიძიშვილის, კოწია დადიანის სასახლისათვის შეუფარებია თავი. თავადი კოწია ოჯახთან ერთად იმხანობას თავის დასთან – მაია დადიანთან ყოფილა სტუმრად. სასახლე გიდის დისშვილის, ახალგაზრდა გვანჯი ჩიქოვანისათვის ყოფილა ჩაბარებული. გვანჯიმ ბიძამისი, სასახლიდან მოშორებით, ტყეში გადამალა. პოლიციამ როგორღაც გაიგო ეს ამბავი და იმ არე-მარეს ალყა შემოარტყა. ემუხვარმა ორი პოლიციელი მოკლა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაჭრილმა ალყა ვერ გაარღვია და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

ხელისუფლებამ მომხდარის გამო, ხანდაზმული კოწია დადიანი, მისი უფროსი ვაჟი მუშნი და გვანჯი ჩიქოვანი დააპატიმრა.

გიდი ემუხვარის დაღუპვამ სამეგრელოსა და აფხაზეთში ხალხის გულისტკივილი გამოიწვია. მის გმირობაზე არაერთი ლექსი გამოითქვა და სიმღერა დაიწერა. ცნობილმა მოლექსემ, ჭკადუაშელმა დავით ჭითანავამ მთელი პოემა მიუძღვნა გვანჯი ჩიქოვანის თავდადებასა და მისი აფხაზი ბიძის გმირობას. სწორედ ამ პოემის სტრიქონებს იხსენებს წერილში ჯონჯი დადიანი. მას უხარია, რომ გვანჯი ცოცხალია, მხნედაა და დიდი ოჯახის მამაა. ამ წერილში ჯონჯი გაკვრითაც არ ახსენებს კოწიას ვაჟებს, თავის ბიძებსა და თანამოაზრეებს, მუშნი და ოთარ დადიანებს. ისინი საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წელს მაინც გაუსამართლებლად დახვრიტა.

"მუშნი დადიანი – ნამდვილი ძმა მედეასი; სილამაზით, ნაკვთიერებით, ელვარებით – ისეთი მორიდებითი ამბორით ჩამოართმევდა ხელს რომელიმე მანდილოსანს, რომ ეს შნო თვით მეფისწულსაც შეეხარბებოდა" – წერდა მის შესახებ ემიგრაციაში მყოფი დიდი ქართველი მწერალი გროგოლ რობაქიძე.

უამრავი რამის გახსენება შეიძლება ამ შეუდრეკელი ვაჟკაცების ცხოვრებიდან. ძმები დადიანები იმ თაობის ქართველებისა და აფხაზების ნათესაობის, ძმობისა და მეგობრობის გამოჩენილი მებაირახტრენი იყვნენ. **"ველური დივიზიის"** მამაც ოფიცრებს, მკერდი გიორგის ჯვრებით ჰქონდათ დამშვენებული. მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სამშობლოში დაბრუნდნენ და სამოქალაქო ცხოვრება გააგრძელეს.

როგორც ამბობდნენ, სამეგრელოსა და აფხაზეთში თავმომწონე ოჯახში, ქორწილი ან ძეობა არ ჩატარდებოდა, მიცვალებულს არ დაიტირებდნენ, მუშნი და ოთარ დადიანები არ მიეწვიათ. ვინ ჩამოთვლის, რამდენჯერ დაუცავთ მათ ჩვენი ხალხების ღირსება, რამდენი ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული პიროვნება დაუძმობილებიათ, რამდენი მოსაწონი ვაჟკაცური საქციელი ჩაუდენიათ...

ამასწინათ, თბილისში მცხოვრები მხცოვანი ქალბატონის, ცნობილი აფხაზური და ქართული საგვარეულოების შთამომავალ, ნუნუ ქიქოძის საოჯახო ალბომის დათვალიერებისას მუშნი დადიანისა და მისი განუყრელი მეგობრის, ვარლამ ჩიქოვანის, 1912 წელს დადაღებული, ერთი უცნაური ფოტო ვნახე და ქალბატონ ნუნუს კომენტარი ვთხოვე. მუშნის თავდავიწყებით შეყვარებია ერთი აფხაზი ქალიშვილი, მაგრამ იმ ქალის გული უკვე სხვას ეკუთვნოდა თურმე. ოჯახს ქორწილის დღეც დათქმული ჰქონია. დადარდიანებულა მუშნი, ვარლამ ჩიქოვანს შეუგულიანებია – ქალი მოეტაცნათ. მუშნისა და ვარლამს ოცი კაციც ვერ შეაკავებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ თავდამსხმელებს ოჯახში ქალების მეტი არავინ დახვდათ. მანდილოსნებისადმი კრძალვამ ხელები ჩამოაშვებინა ვაჟკაცებს, მაგრამ **"ივაჟკაცა"** საპატარძლოს დედამ, რომელსაც წარბშეუხრელად მოუთხოვია მომხვდურთათვის იარაღის აყრა. მათ იარაღი დაუყრიათ, აფხაზი ქალბატონი კი ცხენზე ამხედრებულა და ორივე ვაჟკაცისათვის უკან გაყოლა უბრძანებია. ასე, ხმის ამოუღებლად ჩაუბარებია მუშნი და ვარლამი პოლიციისათვის. ათი დღის პატიმრობის შემდეგ, განთავისუფლებულს გადაუღიათ ეს ფოტო. მთელი აფხაზეთი და სამეგრელო გაართო თურმე ამ ამბავმა, რომელიც არავის უკვირდა, იმდენად დიდი იყო მაშინ სამეგრელოსა და აფხაზეთში მანდილოსნისადმი მოწიწება.

მეორე ფოტოზე, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებშია გადაღებული სოხუმის სანაპიროზე, აფხაზი და ქართველი მეგობრები არიან აღბეჭდილნი. შუაში ცნობილი სამურზაყანოელი თავადის, ომარ ემუხვარის გვერდით, მუშნი დადიანის მეუღლე – ეკატერინე ჯიჯიხია ზის. უყვარდათ აფხაზებს მუშნი, პატივისცემით ექცეოდნენ მის მეუღლესაც.

გასაბჭოების შემდეგ ძმებს არ უცდიათ სამშობლოს დატოვება. 1924 წელს ისინი, ყოველგვარი ეჭვმანის გარეშე, ამბოხებული ხალხის გვერდით დადგნენ. შემორჩენილია ოთარ დადიანის მიერ მეუღლისადმი, ლილი მურად-ბეის ასულ მარშანიასადმი გაგზავნილი მრავლისმეტყველი წერილი.

"ძვირფასოო ჩემო ლილი!

ვწერ ამ წერილს სოფელ ჭუბერიდან, წუხელ ჩამოვედი დალიდან, საიდანაც ცხრა დღის წინ გამოვაგზავნე შენთან იასონ ქირია და შენი ძმა კოწია... სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო ლილი. მე სახიფათო გზაზე ვარ დამდგარი. შეიძლება დღეს ან ხვალ არ ვიქნე და ვიქნე მსხვერპლი ჩემი სამშობლოსათვის, მაგრამ შენ გული არ წაიხდინო. ისე მოიქეცი, როგორც გეკადრება. როგორც შეჰფერის მამაშენის შვილს. შენ გააუწიე ჩვენს შვილებს დედობაც და მამობაც – აი, ეს არის ჩემი სიტყვები, ჩემო კარგო ლილი, აწი შენ იცი და შენმა ქალობამ...

ოთარი. 1923 წლის 3 დეკემბერი, ძველი სტილით. სოფელი ჭუბერი".

ობლობაში დაიზარდნენ მუშნისა და ოთარის შვილები. არნახული ძალისხმევით მათმა მეუღლეებმა – ეკატერინე ჯიჯიხიამ და ლილი მარშანიამ შესძლეს მათი ფეხზე დაყენება.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველობამ და აფხაზობამ ათას უბედურებას თუ გაუძლო, გადარჩა და XXI საუკუნებდე შეინარჩუნა ქრისტიანული ზნეობა და თვითმყოფადობის სურვილი, ამაში სწორედაც რომ ლომისწილი მსგავსი სვებედისა და დამსახურების ქალბატონებს მიუძღვით.

კიდევ ერთი ასეთი ბედის მქონე, ქართველი და აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილი, დედაჩემის დედა – ელისაბედ (მემე) გიდის ასული ჯაიანი-დადიანი უნდა ვახსენო. იგი დედით ანჩაბაძე იყო. ელისაბედი გრიშა დადიანის ვაჟის კოკის მეუღლე გახლდათ.

ბრძენი, მართალი, მტკიცე – არ ვიცი, კიდევ რა ეპითეტებით შეიძლება მისი შემკობა. იგი მართლაც დედაბოძი იყო გრიშა დადიანის ოჯახისა.

გასაბჭოების შემდგომ კოკი დადიანი მამისეული სახლიდან – **"დოხორედან"** გამოსახლებული იყო. ხელისუფლებამ გრიშა დადიანისეული დიდი სახლი ფიცარ-ფიცარ დაშალა და წაიღო. კოკის უთხოვია, ნება დამრთეთ, აქვე დავრჩე და ვიცხოვროო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებიდან ამაზეც კატეგორიული უარი მიიღო.

მეუღლის წლისთავზე მემემ მტკიცედ გადაწყვიტა მამა-პაპურ კარ-მიდამოში პატარა ოდა აეგო და შვილები იქ აღეზარდა. ასე აასრულა მან ქმრის სურვილი. რამოდენიმეჯერ გაძარცვეს ხელმრუდებმა, მაგრამ მუხლმოუდრეკელი შრომით ოჯახი კვლავ ფეხზე დააყენა. სამი ათეული წელი ფეხმოუცვლელად იცხოვრა სოფელ ხორშში. ოთხი შვილი აღზარდა. მემეს ეზო-კარს უმამაკაცობა არ ეტყობოდა. ნათესაობას ზაფხულობით სული მისკენ მიჰქონდა.

ტრადიციების ერთგული გახლდათ, სიტყვაძვირი, მაგრამ გულღია მასპინძელი, ყველაფრის ყადრი და ფასი იცოდა. ამაყი იყო, შვილებთან – მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. სოფლის კომუნისტი თავკაცები პატივს სცემდნენ, ერიდებოდათ მისი. სოფელი შესაფერის პატივს მიაგებდა, მიუხედავად იმისა, რომ მემეს საკოლმეურნეო ყანებში არასოდეს უმუშავია, შრომადღე ყოველთვის ეწერებოდა. მეზობელი ახალგაზრდობა ყველაფერს აკეთებდა, რათა კოკი დადიანის ქვრივს თოხი ხელში არ აეღო. სამაგიეროდ, ბებია მთელ სოფელს უკერავდა ტანსაცმელსა და ქვეშაგებს. მისი სახელგანთქმული საკერავი მანქანა **"ზინგერი"** მათ სამსახურში იდგა. მემე მადალი ქალი იყო, 90 წელს გადაცილებულიც არ მოხრილა, კითხვა უყვარდა, ხელსაქმეს ბოლომდე არ ეშვებოდა.

1950-იანი წლების შუახანებში ოჯახში მარტო დარჩენილი, ვაჟიშვილის კოკის თხოვნას დაემორჩილა და საცხოვრებლად მასთან, სოხუმში გადავიდა. დაცარიელდა კარ-მიდამო. დადიანების მიტოვებულ სამოსახლოში ვიღაც უბირმა ასწლოვანი კაკლებიც კი დაჭრა...

დაახლოებით 11 წლის ვიყავი, დედამ, თავის უფროს დასთან, დეიდა მარიამთან სოხუმში წამიყვანა. იმ დღეებში ბებიაც ესტუმრა ქალიშვილს. მარტო რომ დავრჩით, მემემ საუბარი გამიბა, ეტყობა მოვეწონე და მენდო... კარადიდან ფუცუ დგებუაძე-ფულარიას რომანი **"ოქროს ბეჭედი"** გამომიტანა – წაიკითხე, დედა, აქ შენი წინაპრების ამბებია აღწერილიო!

ერთ დღეს, ვიღაც ქალი მოვიდა. ბებიამ პატივით მიიღო, ესაუბრა. მერე ჭიშკრამდე გააცილა. გამიკვირდა, არასოდეს მინახავს, რომ ჭიშკრამდე ვინმე მიეცილებინოს. ვკითხე, ბები, ვინ იყო ის ქალი?-მეთქი. დედა, ეს ჩემი აფხაზი მეზობელია, აფხაზებს კი ჩვენგან სხვანაირი პატივი ეკუთვნისო.

უყვარდათ და აფასებდნენ ერთმანეთს ჩვენი წინაპრები...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართულ–აფხაზური სანათესაო


მიშო ყიფიანის და ელისაბედ შარვაშიძის ქორწინება მეტეხის ციხეში

ბოდბესა და მარტყოფის ღვთაებაში აფხაზეთის დაბრუნებისათვის ლოცულობენ

ქართული დედა-ეკლესიის წიაღში, აფხაზეთის ომისგან დევნილ სასულიერო მოღვაწეთა სიმრავლეა. თაობა, რომელიც ღვთის ძიების სურვილით მოვიდა, აცხადებს, რომ ადეკვატური პროცესები ენგურგაღმა საზოგადოებაშიც მიმდინარეობს. თუ იქ ძიება ჭეშმარიტია და ნამდვილად ქრისტიანულ პრინციპებს ეყრდნობა, მაშინ ქართველი და აფხაზი ღვთისმსახურები ერთმანეთთან სასაუბრო ენას იპოვნიან.

მანამდე კი, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერსა და მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტერში, დღეში სამჯერ, აფხაზეთის დაბრუნებისთვის ლოცვას აღავლენენ. სპეციალურად შედგენილი ლოცვა, აფხაზეთის მფარველის, იოანე ოქროპირის ხსენების დღეს არის შექმნილი.

ლტოლვილი მონასტრების ღვთისმსახურები აფხაზეთში ომის დაწყებას, 27 სექტემბერს და დაბრუნებას სარწმუნოებრივი კუთხიდან აღიქვამენ, რომელიც დიდად განსხვავდება საეროსაგან. მათი არგუმენტები გულწრფელია, სიყვარულსა და მიტევებაზეა დაფუძნებული და ამიტომ ლოცვას აფხაზეთისათვის ღვთიური ძალა აქვს.

ბოდბის დედათა მონასტერი

– საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, სოხუმიდან გამოსულმა სამღვდელოებამ, ორ მონასტერში გააგრძელა მოღვაწეობა. მეუფე დანიელმა, დედებს, ბოდბეს მონასტერი შემოგვთავაზა. სოხუმიდან ოთხნი გამოვედით: მონაზონი თამარი (ჭანტურაია), დედა-შვილი: მონაზონი ანა (ხარჩილავა) და სამონაზვნე სალომე. შემდეგ შემოგვიერთდნენ სოხუმიდან და გუდაუთიდან დევნილი დედები – დედა ევა და ნინო. დღეს ბოდბეში 29 მონაზონი ცხოვრობს.

თავდაპირველად ლტოლვილ მონასტერს ძალიან უჭირდა. არც წყალი იყო, არც შუქი, არც სკამი და არც მაგიდა. ღვთის ანაბარად ვიყავით დარჩენილი. მძიმე წლები ედგა საქართველოს, ყველას თავისი თავი უჭირდა და ჩვენი პრობლემებისთვის არავის ეცალა. ღვთის მადლით, წინააღმდეგობები ნე-ნელა დავძლიეთ და წელში გავიმართეთ. მჯერა, აფხაზეთს დავიბრუნებთ და სულიერ ღვაწლს იქ გავაგრძელებთ, ბოდბის მონასტრის მეტოქეობს გავხსნით. ღმერთმა ქნას აფხაზეთი დაგვიბრუნდეს, მაყურებლის როლში ნამდვილად არ ვაპირებთ ყოფნას! – გვითხრა წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტრის წინამძღვარმა, **იღუმენია თეოდორამ (მახვილაძემ)**.

სამონაზვნო სალომე (შონია) – ლტოლვილთა მონასტერს სოხუმიდან მოვყვებით მე და დედა. უნივერსიტეტის პირველ კურსზე ვიყავი, ომი რომ დაიწყო. მახსოვს, როგორ ჩავიკეტეთ და ოჯახს მოწყვეტილად ვცხოვრობდით სოხუმში. ჩვენს სახლში დროებით მცხოვრებმა სასულიერო პირებმა: მამა ანტონმა და მამა სიმონმა საფრთხის დამუქრების შემთხვევაში ჩვენი მეურვეობა იკისრეს – 26 სექტემბერს, სოხუმზე მოსალოდნელი შტურმის წინადღეს, მე და დედამ ქალაქი დავტოვეთ და ბერ-მონაზვნებთან ერთად, 27-ში სვანეთის უღელტეხილს დავადექით. მჟავე წყლებამდე – ავტობუსით, შემდეგ კი – 75 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. მახსოვს, მთელი ამ გზის გავლისას, დილით 1 ნაჭერ ორცხობილას, საღამოს – ნამცხვრის პაწაწინა ნაჭერს ვიმყოფინებდით. მეუფე დანიელი, როგორც ყველაზე უმცროსს (17 წლისა ვიყავი), თავის ულუფას მე მითმობდა, გზაზე კი ლოცვით გვაძლიერებდა. ორ დღეში 5-წუთიანი შესვენებებით ეს მანძილი მთლიანად დავფარეთ. ასე გავედით ჭუბერამდე. დედა, ღვთის ნებით, ქარაფზე გადაჩეხვას გადარჩა. მეუფე დანიელმა გვირჩია დედებთან დავრჩენილიყავით, შემდეგ მე თვითონ აღარ მომინდა საერო ცხოვრებისაკენ მობრუნება. სოხუმის ლტოლვილმა მონასტერმა ბოდბეს შეაფარა თავი. მეთვრამეტე წელია მე და დედა – მონაზონი ანა მონასტერში ვცხოვრობთ და აფხაზეთისთვის ვლოცულობთ.

მონაზონი ანა (ხარჩილავა) – მე და ჩემი შვილი სოხუმიდან ისე გამოვედით, დახოცილი ქართველები არ გვინახავს და, ამდენად, აფხაზეთთან საშინელი მოგონებები არ გვაკავშირებს. მეუფე დანიელთან ერთად გზადაგზა ვლოცულობდით, უკვე გზაშივე გადავწყვიტე, რომ უფლის გზას შევდგომოდი და ცხოვრება ღმერთისათვის მიმენდო. ჩემი ქალიშვილი ბავშვობიდან ეკლესიური იყო და ვიცოდი, რომ მონასტერში წავიდოდა.

სამონაზვნე ევა (ღურწკაია): როდესაც ომი დამთავრდა და აფხაზეთის ქართველობა სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში მიმოიფანტა, ჩემი თანაკლასელების ძებნა დავიწყე. მინდოდა მათთვის უფლის ხმა მიმეწვდინა. რადგან მონასტერში ვცხოვრობდი, ეს ჩემს მოვალეობად მივიჩნიე. ჩამოვწერე თანაკლასელების სახელები და დავიწყეთ ლოცვების დაყენება. მეთხუთმეტე ლოცვაზე გამომეხმაურენ (ერთ-ერთ მათგანს ზუგდიდში აღმოეჩინა ჩვენი ოჯახი). იმ დროს ზოგს შვილი ჰყავდა დაკარგული, ზოგს დედა, მამა, ძმა... მონასტერში პარაკლისებს ვიხდიდით, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულნი გამოჩენილიყვნენ. ბოდბელ დედათა ლოცვამ ერთ-ერთი თანაკლასელი იხსნა სიკვდილისაგან, სასუნთქ აპარატზე ჩართულმა მოიხედა. ვურჩიეთ სწრაფადვე ეზიარებინათ, მის მიმართ ღმერთმა წყალობა გამოიჩინა და გადარჩა, იმ დღიდან ეკლესიური გახდა.

ეს ფაქტი ჩვენთვის საოცრება იყო. როდესაც სკოლის დამთავრების ოცი წელი შეგვისრულდა, მთელი კლასი (სოხუმის პირველსკოლელები) მონასტერში მესტუმრნენ. ვცდილობდი ისინი ეკლესიისკენ მიმეზიდა.

მონასტრის დედები ფაქტებსა და მოვლენებს ეკლესიური კუთხიდან აღიქვამენ. 27 სექტემბერი მათთვის არ არის ტრაგიკული თარიღი. თვლიან, რომ ეს დღე აფხაზთა და ქართველთა მოქცევის დღეა, რომ არა 27 სექტემბერი, ბნელეთსა და ურწმუნოებაში დავრჩებოდით.

– რატომ დავმარცხდით? – მატერიალურად გაძლიერებულებმა არ იცოდნენ, თუ რა უნდა ეთხოვათ უფლისათვის, არ ახსოვდათ ღმერთი. ლტოლვილობა ღვთის მიერ დაშვებული განსაცდელია იმისათვის, რომ განვიწმინდოთ.

საკენ-ჭუბერის გზაზე ღმერთმა ყველა გაათანაბრა: დარიბი, მდიდარი, მუშა, გლეხი, თანამდებობის პირნი, მთავრობის წევრები – ყველა განსაცდელის გზით ატარა, რადგან არ ჰყავდათ ბოლომდე ღმერთი შეცნობილი. აფხაზეთში მაშინ დავბრუნდებით, როდესაც მზად ვიქნებით უფლის სადიდებლად.

მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტერი

მარტყოფის ღვთაება ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებითი რეზიდენციაა, სადაც აფხაზეთიდან დევნილი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობენ. მონასტრის წინამძღვარია **არქიმანდრიტი ბენიამინი (ბელქანია)**, რომელიც მოგვითხრობს:

– ჩვენს მონასტერში მოღვაწე ღვთისმსახურების უმრავლესობა აფხაზეთიდანაა. თავდაპირველად ღვთაებაში მონაწილეობდნენ გორი-სამთავისის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანდრია (გვაზავა), ცხინვალ-ნიქოზის მიტროპოლიტი მეუფე ისაია (ჭანტურია), შიო-მღვიმის მამათა მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე) და სხვებიც.

მონასტერში ტრადიციაა: ყოველდღე ამ მონასტრის დამაარსებლის (ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის) წმინდა ანტონ მარტყოფელის პარაკლისს ვიხდით. საღამოს ტარდება მწუხრი, სერობა, შემდეგ – ცისკარი, რომელსაც მოსდევს წირვა. ათი წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვიყავი მღვდელი, დღეს, მადლობა უფალს, მონასტერში მამათა სიმრავლეა. ვცდილობთ ყოველდღე ჩატარდეს წირვა, რომელიც უდიდესი მადლის მატარებელია.

მამა ბენიამინი ომის შემდეგ სოხუმში არ ყოფილა, მაგრამ როგორც ამბობს, აფხაზეთზე ფიქრი ერთი წუთითაც არ ტოვებს.

– აფხაზეთის ომი შემზარავი იყო თავისი შინაარსით, ძალიან ძნელი იყო მშვიდად გეყურებინა იმისათვის, თუ როგორ ხოცავდნენ ერთად გაზრდილი ბიჭები ერთმანეთს. ძმათამკვლელ ომში ჩაბმაზე მე და ჩემმა ძმამ (შემდგომში მამა ელისემ) უარი ვთქვით, ეკლესიაში, მეუფე დანიელთან მივედით და ჩვენი სამსახური შევთავაზეთ. მას შემდეგ ტაძარში ვარ. ომი თითქოს ქართველთა მოსაქცევად აგორდა. დღეს საქართველოს ეკლესიები სავსეა აფხაზეთიდან დევნილი სასულიერო პირებით. თუ ოჯახიდან ერთი უფლის გზას დაადგება, ჩნდება სურვილი, რომ მეორეც წავიდეს... მას შემდეგ, რაც მამა ანდრია (ყურაშვილი) აფხაზეთის ომის დროს, ჯალათების ხელით, მოწამეობრივად აღესრულა, მისი ყველა და-ძმა უფლის სამსახურში ჩადგა. ტაძარშია ჩვენი მოძღვრის, მამა შალვას (შენგელიას) ძმა მამა ანტონიც. ასეთი მაგალითი მორჩილებშიც არის და ეს გასახარია.

მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტრის მოძღვარი, იღუმენი შალვა (შენგელია) ომის შემდეგ აფხაზეთში ჩარჩა და იქ ორი წელი იცხოვრა, მაგრამ საკუთარ მიწაზე უცხო კაცად დარჩენას ვერ შეეგუა. უფლისკენ მიმავალ გზაზე ფიქრი მაშინ დაიწყო, როდესაც 22 წლის ჭაბუკი აფხაზებმა დასახვრეტად გაიყვანეს და იქვე მისი საფლავის თხრა დაიწყეს... ჯალათებს შორის ის გულმოწყალე აფხაზიც აღმოჩნდა და ღვთის ნებით, სიკვდილს გადარჩა. აფხაზეთიდან გადმოსული, ერთხანს რუსეთში ცხოვრობდა. ეკლესიური ცხოვრების დაწყება მისთვის არავის ურჩევია. ერთ დღეს ბიბლია გადაშალა... და მორჩილ ბავშვად იქცა.

აფხაზეთში, რამდენიმე წლის წინათ, მამა შლვა მეუფე დანიელის კურთხევითა და აფხაზი ნათესავის დახმარებით ჩავიდა. გაახარა იმ ფაქტმა, რომ მისით, როგორც სასულიერო პირის სტუმრობით, აფხაზები დაინტერესდნენ, რაც ეკლესიისკენ შემობრუნების პროცესის დაწყებას ნიშნავს. პოზიტივია სულიერებაში ის ფაქტიც, რაც მამა შალვას ჩამოსვლის შემდეგ გახდა ცნობილი: კომანში, წმინდა ადგილად არის ქცეული მამა ანდრიას (ყურაშვილის) საფლავი.

მარტყოფის ღვთაების სამონასტრო კომპლექსმა 17 წლის განმავლობაში გარეგნულადაც იცვალა ელფერი: ღირსი მამა ანტონ მარტყოფელის საფლავი (ცამეტ ასურელ მამას ერთნაირი ჰქონდა), შეიცვალა ქართული სტილით შესრულებული საფლავით. აღსადგენთა სიაშია წმინდა ბარბარეს პატარა საყდარი და წმინდა ნიკოლოზის სამლოცველო. შეკეთდა გზა მონასტრამდე და გაკეთდა შუქი. შენდება აგრეთვე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელსაც დაქცეული საყდარი ეწოდებოდა. იგი მდებარეობს მონასტრიდან სამხრეთით, ანგელოზის მთაზე. იქ განთავსდება მონასტრის სკიტი (ბერების საცხოვრისი) და განვითარდება მეცხოველეობა. მიმდინარეობს სენაკების შეკეთება. სარესტავრაციო-აღდგენით სამუშაოებში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბერ-მონაზონ იერემიას (ლომიძე).

მონასტრის მამები ამბობენ, რომ აფხაზეთში დაბრუნებულები სხვანაირად შეხედავენ კომანს, ახალი ათონის მონასტერს, მოქვის ტაძარს, ბიჭვინთის, ლიხნის, ბედიის ტაძრებს. მანამდე კი ძალიან ბევრი ლოცვა გვმართებს, რომ ღმერთმა ცოდვილი ცხოვრება შეგვინდოს. დევნილობა ჩვენთვის ღვთისაგან დაშვებული განსაცდელია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება აღდგომა.

ჩვენ დავბრუნდებით!

სვეტლანა კვიკვინია

სამონაზვნე სალომე (შონია)

სამონაზვნე ევა (ღურწკაია)

ახალგაზრდა იურისტები პარლამენტს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია) პარლამენტს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს. როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე საია-ს თავმჯდომარე **თამარ ხიდაშელმა** განაცხადა, პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები გასაიდუმლოებულად, რეგლამენტის დარღვევით შეიტანა.

მისი ინფორმაციით, სექტემბერში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებიდან რამდენიმე დღით ადრე, პარლამენტმა კოდექსში **„შეაპარა“** ცვლილებების პაკეტი, რომლის განხილვა არც კომიტეტებში და არც პირველ მოსმენაზე არ ყოფილა. არასამთავროები და ექსპერტები ამ ცვლილებებთან დაკავშირებით საქმის კურსში არ იყვნენ.

„ჩვენ მაშინ გავიგეთ ცვლილებების შესახებ, როდესაც უკვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოქვეყნდა“,- აღნიშნა **ხიდაშელმა.**

აღნიშნული ცვლილებები, ხიდაშელის განცხადებით, მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას და აკნინებს ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტს. კერძოდ, მოსამართლეს ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის გაუქმების უფლებას აძლევს, თუკი მოსამართლე ჩათვლის, რომ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი მტკიცებულებებიდან არ გამომდინარეობს.

„გარდა ამისა, ცვლილებების პაკეტით პირის მსჯავრდებისთვის მტკიცებულებების რაოდენობა მცირდება. აქამდე თუ აღიარებითი ჩვენება რამდენიმე მტკიცებულებით უნდა ყოფილიყო გამყარებული, ახლა აღიარებით ჩვენებასთან ერთად მხოლოდ ერთი მტკიცებულებაც საკმარისია პირის მსჯავრდებისთვის“,- აღნიშნა საია-ს ხელმძღვანელმა.

ხიდაშელის განცხადებით, ცვლილებების მიღება არაკონსტიტუციურად მოხდა და ამიტომ აპირებენ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ.

„დუმილი თანხმობის ნიშანია”

ზუგდიდის მე›4საჯარო სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად გამწესებული დიდი ბრიტანელი თომას ფლეტჩერი, მიუხედავად იმისა, რომ მხილებულ იქნა ჰომოსექსუალობაში, ჩვეულებრივად ისევ დადის სკოლაში და , **ასწავლის** ბავშვებს. ძალიან კარგ ხასიათზეცაა. როგორც თვითონ ამბობს, ფოტოებზე მართლაც ისაა აღბეჭდილი და რომ მისი და მისი მეგობრებისთვის ეს ჩვეულებრივი გართობაა.

ზუგდიდში დამკვიდრებული შიშის გამო ვერც მშობლები და ვერც მასწავლებლები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. მე›4საჯარო სკოლის დირექტორმა მკაცრად გააფრთხილა მასწავლებლები, თუ ისინი ხმას ამოიღებდნენ, ან თუნდაც რამეს მაინც მიანიშნებდნენ , **პატივცემულ სტუმარს** , სკოლას დაატოვებინებდა ყველას.

თომას ფლეტჩერს ვერც იმ სახლიდან უშვებენ, სადაც ცხოვრობს. დიდი სურვილი კი აქვს ამ სახლის მეპატრონეს სახლიდან გააგდოს სამარცხვინო სტუმარი, მაგრამ ისიც მკაცრად გააფრთხილეს და იძულებულია, შეასრულოს ის მოთხოვნები, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

ასე რომ, ყველაფერი ხახვივით შერჩა , **ინგლისური ენის მასწავლებელს** .

დევნილების აქცია რეგიონებს მოედო

როგორც საქინფორმისთვის გახდა ცნობილი, დედაქალაქის პარალელურად დევნილების საპროტესტო აქციები რეგიონებშიც მიმდინარეობს. ბათუმში სასტუმრო **მედეადან** და **მესხეთიდან** იძულებით გამოსახლებული დევნილები საცხოვრებელ ფართს ითხოვენ.

დღეს მათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობასთან აქცია გამართეს. ისინი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის განკარგულებაში, **იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ** 2009›2012 **წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში** ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვენ. დღევანდელი აქციის მონაწილეებთან სახალხო დამცველისა და დევნილთა საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენლები მივიდნენ და მათი პრეტენზიები მოისმინეს.

დევნილები თავიანთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თბილისში ჩამოსვლასა და პატრიარქის შუამდგომლობით პრეზიენტთან შეხვედრას გეგმავენ.

სააგენტო საქინფორმი



სერგეი კრემლიოვი

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ესე იგი, ტერნოპოლში ქვედანაყოფის გადასროლის ბრძანება მოვიდა 21 ივნისის დღის 2 საათზე და არა 19 ივნისს. მაგრამ რატომ აჩქარდა ოლქის სარდლობა ტერნოპოლში გადასაბარგებლად, სადაც 44-ე მსროლელთა დივიზიის ყოფილი შტაბის შენობაში იმყოფებოდა ფრონტის სამეთაურო პუნქტი? ჩვენ მოგვითხრობენ, რომ **"დესპოტი"** და **"ჭკუანაკლული"** სტალინი უკრძალავდა დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდალ პავლოვს, რომ ჯარი გადაეყვანა საზაფხულო ბანაკში, თუმცა, ამაში არაფერი იყო კრიმინალური – მიმდინარეობდა გეგმიური სამხედრო სწავლება. აქ კი კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბი დისლოკაციის ადგილიდან გადადის! ვის შეეძლო ამის ბრძანების გაცემა, თუ არა სტალინს?

და რა გამოდის – კიევის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქს მიეცა ოლქის მართვის საველე პირობებზე გადაყვანის ბრძანება (ფაქტიურად ეს ფრონტისათვის გაცემული ბრძანების ტოლფასი გახლდათ), დასავლეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქს კი არ მიეცა? კირპონოსამდე სასწრაფო დავალების შეტყობინება მივიდა 19 ივნისს, პავლოვამდე კი 21 ივნისსაც ვერ მიაღწია?

ნება მომეცით, არ დავიჯერო!

ახლა კი, როცა მკითხველს ამდენი შეკითხვა დავუსვი, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ 1941 წლის ივნისის თვეში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიის ჩემეული წარმოდგენა...

ივნისის დასაწყისი –საზღვრის იქიდან გაიზარდა ინფორმაცია სამხედრო მოქმედებათა გააქტიურების თაობაზე.

ივნისის პირველი ნახევარი – სტალინისათვის დამთრგუნველია ამგვარი ინფორმაციის მოზღვავება, რამაც საგანგაშო სიტუაცია შექმნა. იგი ზრუნავს, მოსალოდნელი მოვლენების უშუალოდ ჰიტლერისაგან გაგების მიზნით, ზონდაჟის ჩატარებაზე.

13 ივნისი – ს.კ. ტიმოშენკოს მოხსენება. სტალინმა მიიღო ზონდაჟის პირადად ჩატარების გადაწყვეტილება.

14 ივნისი – საკავშირო დეპეშათა საგენტოს განცხადება, როგორც ზონდაჟის პირველი ეტაპი.

17 ივნისი – მერკულოვის ბარათი და სტალინის საუბარი მერკულოვთან და ფიტინთან.

17 ან 18 ივნისი – ბერიას მიერ პავლოვის გაფრენის ორგანიზება დასავლეთის საზღვრის გასწვრივ.

17 ან 18 ივნისი – სტალინის მიერ ჰიტლერისადმი გაგზავნილი წერილი, ბერლინში მოლოტოვის მივლინების თაობაზე (ზონდაჟის უკანასკნელი ეტაპი).

18 ივნისი – სტალინის მიერ ჯარებისადმი დირექტივის გაგზავნა, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე, რაც ზოგიერთმა დოყლაპია თუ მოღალატე მეთაურმა არ შეასრულა.

18 ივნისი – აფორიაქებული სტალინის მიერ უკანასკნელი სანქციების გაგზავნა, რადგან ჰიტლერმა გასცა **"ბარბაროსას"** გეგმის სისრულეში მოყვანის ბრძანება, რაც დაადასტურა ბერიას დაზვერვამაც.

19-20 ივნისი – საზღვრის უშუალო ინსპექტირება მერკულოვის მიერ სტალინის უშუალო დავალებით.

20 ივნისი – მერკულოვის მოხსენება სტალინისადმი ზოგიერთი სამხედროს საეჭვო უმოქმედობის თაობაზე.

20-21 ივნისი – სტალინის მკაცრი მითითება ტიმოშენკოსა და ჟუკოვს, რათა მათ დაუყოვნებლივ დაუგზავნონ დირექტივა სამხედრო ქვედანაყოფებს.

22 ივნისი – ომის დაწყება.

აი, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, ძვირფასო მკითხველო!

ახლა დარწმუნებული ვარ, თუ რატომ მოაწყო იმდროინდელმა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა ელიტამ შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ და დაბრალა მას უმოქმედობა – ეს მათ სჭირდებოდათ მხოლოდ სტალინის სახელისათვის ჩირქის მოსაცხებად!

მაგრამ, განა არ შეიძლებოდა ჟუკოვს, ან ტიმოშენკოს ეთქვათ 50-იან ან 60-იან წლებში, რომ სტალინმა არა მხოლოდ იცოდა ომის დაწყების თარიღი, არამედ მან დროულად გასცა სანქცია ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე...

არა! რადგან ამის ხმამაღლა თქმა, მაშინ, სამოქალაქო თვითმკვლელობის ტოლფასი გახლდათ! ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ამბრაზურაზე მკერდით გადაფარებად შეიძლება შეფასდეს! ამგვარ თვითშეწირვაზე კი მაშინ მათგან ვერავინ წავიდოდა!

ან კი, როგორ გაბედავდა ამის გაკეთებას თუნდაც, მაგალითად, მოლოტოვი? იგი ხომ ურცხვად ტყუოდა... 1984 წელსაც კი. და ეს მისი ტყუილი მაშინვე დააფიქსირა ფელიქს ჩუევმა, თუმცა ეს მას **"მტკნარ"** სიმართლედ მიაჩნდა. მის წიგნში **"ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან"**, ფიგურირებს 1984 წლის 13 იანვრის ჩანაწერი:

"ვუკითხავ მოლოტოვს ნაწყვეტებს ავტორხანოვის წიგნიდან 1941 წლის 22 ივნისის თაობაზე: "მივედით მასთან აგარაკზე და შევთავაზეთ რადიოთი მიემართა ხალხისათვის. სტალინმა კატეგორიული უარი განაცხადა. მერე მოლოტოვს დაავალეს..."

– დიახ, მართალია, დაახლოებით ასეა".

მაგრამ ეს ხომ დაახლოებითაც არ იყო ასე!

ეს აბსოლუტურად არ იყო ასე! 22 ივნისს სტალინმა მოლოტოვი პირველად ნახა თავის კრემლის კაბინეტში 5 საათსა და 45 წუთზე და იგი მთელი დღე იმყოფებოდა კრემლში – მუშაობდა ომის საკითხებზე.

მაგრამ, ხომ ვერ იტყოდა მოლოტოვი სიმართლეს. ეს უპირველესად მისთვის იქნებოდა უხერხული. მაგრამ ეს სიმართლე რომ ამოტივტივებულიყო, მაშინ ხომ შესაძლებელი იყო, რომ სიმართლე ამოტივტივებულიყო ბერიას შესახებაც?.. და ნაცვლად დილეგების შემოქმედი ჯალათისა და სისხლიმსმელი მონსტრის ნაცვლად გაოცებული ხალხის წინ წარმსდგარიყო დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური უნივერსალი-მოღვაწე, რომელიც არავის ემუქრებოდა ჯურღმულებში გამომწყვდევით და პირიქით, თავისი კეთილსინდისიერი და მუხლჩაუხრელი შრომით ყველაზე ადრე მიიტანა სტალინამდე დაზუსტებული ინფორმაცია მოსალოდნელი ომის თაობაზე!

სამწუხაროდ, არც ადრე და არც შემდეგ არავის შეუწუხებია თავი საიმისოდ, რომ ლაფიდან ამოეთრია დიდი ბელადის დაუმსახურებლად დაწიხლული სახელი. და ეს არ გაუკეთებია იმ ხალხსაც კი, ვისაც სტალინმა ჩამოურიგა თანამდებობები, ოქროსვარსკვლავიანი სამხრეები, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები...

ამის შემდეგ, რაღა უნდა ვილაპარაკოთ ბერიას სახელის შელახვასა და მის ლაფში თრევაზე? თუ ფორმალურად შევხედავთ, იგი ბელადი არ იყო, იგი, უბრალოდ, გვერდში ედგა ბელადს!

არაფორმალურად კი იგი ყველა მათგანზე მაღლა იდგა არა მხოლოდ როგორც პიროვნება, არამედ – როგორც ადამიანიც! იგი არ ესწრაფვოდა ჩინ-მენდლებს, არ იბრძოდა კარიერისთვის, არ ქმნიდა საკუთარი თავისაგან განუმეორებელი სახელმწიფო მოღვაწის იმიჯს!

მაგრამ იგი ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო. იგი ყოველთვის დიდ მოღვაწედ წარმოჩინდებოდა იმ თანამდებობაზე, სადაც მას სტალინი ნიშნავდა. და ყოველთვის იგი იმყოფებოდა თავის ადგილზე. სწორედ მის გამო იღებდნენ მისი კოლეგები მწვავე შენიშვნებს ბელადისაგან.

სწორედ ამიტომ, იგი ბევრს არ უყვარდა, ბევრს კი – სძულდა!

ვიდრე ბერია ძლევამოსილი იყო, იგი სძულდათ საიდუმლოდ...

მაგრამ, როცა ზემოდან გაისმა ბრძანება **"ფას!"** და ბერიას ძაღლები მიუქსიეს...

ახლახან მე აღვნიშნე, რომ ომის ისტორია ურთიერთშეთანხმებით გააყალბეს საბჭოთა უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებმა. ეს აშკარად თვალშისაცემია. მოვიყვან ამ თვალსაზრისის დამამტკიცებელ გარემოებებსაც.

1961 წელს მოხდა მოვლენა, რასაც ყველა დიდი ხნის განმავლობაში ელოდა: საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ დასტამბა პირველი ტომი წიგნისა **"საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 1941-1945 წლებში" – "იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ომის მომზადება და გაჩაღება".**

ექვსტომეული ნაშრომი შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილების მეცნიერმუშაკთა მიერ. სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე გახლდათ აკადემიკოსი კონსტანტინე პოსპელოვი (რომელიც ბერიაზე ერთი წლით უფროსი იყო, სიმშვიდეში იცხოვრა და ასევე სიმშვიდეში აღესრულა მოსკოვში 1979 წელს, 81 წლის ასაკში). ჩემს მიერ არაერთგზის მოხსენიებული კონსტანტინე ზალესსკი ამ ადამიანზე წერდა: **"მის მიერ მომზადებული ყველა ნაშრომი გადავსებულია ინსინუაციებითა და გაყალბებული ფაქტებით და საერთო არაფერი აქვთ ისტორიასთან".** და ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომ მე ზალესსკის ვეთანხმები, თუ მხედველობაში მივიღებთ პოსპელოვისეულ **"დიდი სამამულო ომის ისტორიას".**

რაც ყველაზე თავშესაქცევია, ზალესსკი შემდეგ პოსპელოვზე წერს: **"იგი იყო მგზნებარე სტალინისტი, შემდეგ კი ხრუშჩოვის ბანაკში გადაინაცვლა. სწორედ პოსპელოვმა მოუმზადა მოხსენება ხრუშჩოვს პარტიის XX ყრილობაზე "პიროვნების კულტის შესახებ", რომელიც გადავსებული იყო ანტისტალინური გამოხდომებით, ფაქტების შერყვნითა და გამოირჩეოდა სინამდვილის დამახინჯებით".**

მაგარი **"სტალინისტი"** კი ყოფილა!

რაც შეეხება კაპიტალურ წიგნს **"ომის ისტორია"** (მისი წონა ზუსტად ორი კილოგრამია), რომლის შემქმნელია **"პოსპელოვის გუნდი"**, მასში ბერიას სახელი სულ ორჯერაა მოხსენებული. მე-100 გვერდზე ნათქვამია: **"საბჭოთა შეიარაღებული ძალების არნახული ტემპებით განვითარებამ საგონებელში ჩააგდო კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურები... ეს მესვეურები საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოტენციალის შესასუსტებლად იყენებდნენ ბერიასა და მის თანამზრახველებს, რომელთაც ფიზიკურად გაანადგურეს უამრავი ღვაწლმოსილი სამხედრო მეთაური და პოლიტმუშაკი".**

საჭიროა კი, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ბერიას ბიოგრაფიის ქრონოლოგია და სხვა წვრილმანები? მაგრამ, თუ ამ სიყალბის გამოსამზეურებლად მაინც სასურველია ვიცოდეთ როდის და სად, რა ხდებოდა, ასევე, როდის ვინ იყო ბერია, ბერიას გვარის მეორედ ხსენებისას თვალნათელი ხდება სიცრუე თუნდაც მარტივი ლოგიკური ანალიზის ჩატარებით:

"მოწინააღმდეგის საჰაერო დაზვერვასთან ბრძოლა დავალებული ჰქონდათ საბჭოთა მესაზღვრეებს და საზღვრებთან დისლოცირებულ სამხედრო ქვედანაყოფებს. მაგრამ როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მოღალატე ბერია ჯერ კიდევ 1940 წლიდან კატეგორიულად უკრძალავდა მესაზღვრეებს საბჭოთა საზღვრის დამრღვევი გერმანული თვითმფრინავებისათვის ცეცხლის გახსნას... მან ფაქტიურად მოშალა საბჭოთა სასაზღვრო კარიბჭე და მტრის დაზვერვის საჯირითო პოლიგონად აქცია იგი".

სასაზღვრო ჯარები და საზღვრებთან დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფები, როგორც ოდესაში ამბობენ, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამდენად, გამორიცხულია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს (რომელსაც ემორჩილებოდნენ მხოლოდ მესაზღვრეები) ჰქონოდა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან დისლოცირებული თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო ქვედანაყოფებისათვის რაიმე ბრძანების გაცემის უფლება. რაც შეეხება მესაზღვრეებს – რატომ უნდა გაეხსნათ მათ ცეცხლი საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავებისათვის? მესაზღვრეები არ არიან საარმიო ქვედანაყოფები და ამდენად, მათ, არც საზენიტო დანადგარები ჰქონდათ და არც საკუთარი გამანადგურებელი ავიაცია...

მაგრამ, ეს ხომ დიდი სამამულო ომის ოფიციალური ისტორიაა! ამასთან, წიგნის 476-ე გვერდზე მიწაზე განადგურებული ჩვენი ავიაციის ცოდვაც ბერიას შინსახკომს, როგორც ქუჩურად ამბობენ, "**შეტენეს**"! ბერიას შინსახკომმა აეროდრომების გამართვა დააგვიანა და თვითფრინავები დია ადგილზე ერთად იყვნენ თავმოყრილიო...

პოსპელოვი აეროდრომების საზღვრებთან ახლოს განლაგებასაც ბერიას აბრალებს, თითქოს ამ აეროდრომების დისლოკაციია ადგილების შერჩევაში არ მონაწილეობდნენ გენერლები რიჩაგოვი, სმუშკევიჩი, პავლოვი...

ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც ის, რომ 1937 წელს ბერიამ გაანადგურა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა!

ახლა გეკითხებით: რა, ამის შესახებ არ იცოდნენ სარედაქციო კოლეგიის მაღალჩინოსანმა წევრებმა: აკადემიკოსებმა მინცმა, ჟილინმა, ხვოსტოვმა, მარშლებმა ბაგრამიანმა, გოლიკოვმა, სოკოლოვსკიმ, გენერლებმა გრეჩკომ და კურასოვმა, იურისტმა რუდენკომ, მწერალმა პოლევოიმ და სხვებმა?

სხვა შემთხვევებშიც ხომ **"პოსპელოვისებური ჭეშმარიტება"** მხოლოდ რეალიების შერყვნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს?

ახლა, **"შტაბის სიმაღლეებიდან"** ფრონტის სანგრების დონეზე დავიდეთ... და დავინახავთ ფრონტული ისტორიის (მაგრამ, არა პოსპელოვის) საწყის ეტაპზე 41-ე მსროლელი დივიზიის გასაოცარ მაგალითს. ამ დივიზიას მეთაურობდა წითელი არმიის გამოცდილი ოფიცერი, გენერალი გ.ნ. მიკუშევი.

დივიზია შედიოდა გენერალ მუზიჩენკოს მე-6 არმიის შემადგენლობაში და რევირუსის რაიონთან. 22 ივნისს გენერალმა მიკუშევმა დივიზია საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა და საზღვრის გასწვრივ განალაგა. თავისი მოქმედებები მან შეათანხმა 91-ე სასაზღვრო ნაწილის მეთაურთან, მაიორ ი.დ. მალისთან, მაგრამ, არა მგონია, რომ ამის თაობაზე მას საქმის კურსში არ ჩაეყენებინა არმიის სარდალი მუზიჩენკო.

მე ვფიქრობ, რომ მიკუშევმა სწორედ რომ მუზიჩენკოს ბრძანება შეასრულა, რომელიც ამ უკანასკნელმა კიევის განსაკუთრებული ოლქის სარდლობისაგან მიიღო. თავისი ინიციატივით დივიზიის მეთაურები მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცებს სანგრებში არ სვამენ, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება თავად ჩასვან. და ჩასვამენ სამართლიანადაც!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნიკური სახელწოდებების ქართი-ს, მეგრელი-ს, იბერი-ს ეტიმოლოგიის შესახებ და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პრობლემა

რ. ბგერათა კომპლექსი **რ** ადრინდელი ფორმაა მეგრული სიტყვისა **რე**, ქართულად არის. **რ//რე** კონკრეტულია, ზოგადი იქნება **რინა,** ქართულად, ყოფა, ყოფიერება (**რინელი**//ყოფიერი).

ფ. ქართულად **ფ** ნიშნავს **იდუღა**-ს. მაგ., „წყარქ ფ“ (წყალმა იდუღა), **„ქო-ფ“** (კი იდუღა).

ბ, თ, რ და **ფ** ფორმები მესამე პირის ზმნებია და, გარდა **რ**-სი, ასეთივე ფორმით იხმარებიან ისინი დღესაც წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების მთისპირა სოფლებში, ხოლო მარტვილურ-სენაკურ დიალექტში ბგერა ზემოაღნიშნულ სიტყვებში გახმოვანებულია: ბუ, თუ, ფუ. უნდა აღინიშნოს, რომ ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისაკენ და ქართულის გავლენით მარტვილურ-სენაკურ დიალექტში იგი თითქმის მთლიანად გახმოვანებულია.

პირველადი ფორმის არქაული პერიოდის სიტყვაში **რ** ბგერა ყველგან გახმოვანებულია (ჩხოროწყუ-წალენჯიხაშიც), მაგრამ რა დროიდან გაურკვეველია.

სიტყვებში **„თრი“**(თოვლი) თ რე თ რ, „გრი“(გული) (მოვსწრებივარ ბაბუაჩემს და მის მამას, დიდ ბაბუას სოფელ წყავაშში, ასეთი ფორმით გამოთქვამდნენ გულის მნიშვნელობას) გ რე გ რ, დრე (დირე) დ რ და მისთანა წინადადებებში, რომლებშიც პირველი ნაწილი (თ, გ, დ და ა.შ.) დღემდე გაუხმოვანებელია, მეორე ნაწილი **რ** გახმოვანებულია(რე), ზოგან გარდაქმნილიც (რი) და, ჩვენი აზრით, ეს მოხდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე სხვა ბგერათა კომპლექსებში ბგერა გახმოვანდებოდა, რადგან **რ** ბგერათა კომპლექსი განმსაზღვრელია ყველა სხვა ბგერათა კომპლექსის მნიშვნელობისა (ბ რე, გ რე, დ რე, თ რე და ა.შ.).

აღნიშნული წინადადებები უნდა მომდინარეობდეს თანხმოვნური მეტყველების დროიდან და სიტყვა **ბერე**-ს თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **ბ რ**, შემდეგ ბ რე, ანუ ბმა არის, მემკვიდრეობის უწყვეტობა არის [**ბ რ ბ** რებერე//მემკვიდრე, შვილიხიი (შვი) ლიხიილეხიი რე (შვი, შობა არის) ხ რ].

აქედანვე უნდა მომდინარეობდეს სიტყვა ბადანა//ბ დ ნ - ბმა (მემკვიდრე) გაღებული (გაცემული) სიცოცხლის წყაროსგან (დ//იღო იტანა-კონკრეტულია, ზოგადი იქნება ღება, მიღება, გაღება, მოღება, მოცემა), ბავშვი(ბ ვშვი), ანუ მემკვიდრე ვშვი (ღ-ს და ნ-ს მნიშვნელობანი უფრო ვრცლად იხ. ავტორის ნაშრომში ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი).

„ბატკანი კრავსა და ბატკი თიკანს(ა) ეწოდების“ (საბა);

„ბატკ-ში იგივე ფუძე გვაქვს, რაც ბატკანში; მათ მნიშვნელობაც აკავშირებს: ეჭვს გარეშეა, ბატკან- შეიცავს –ან სუფიქსს: ბა-ტკ-ან“ (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 15).

„ბაშვი, ბაღანა, ბატკან-ის ბა-, ეჭვს გარეშეა, აფიქსია; მაგრამ ის ქართველურ ენებში სხვა კავკასიური ენებიდან შესული ჩანს: ამდენად ქართველურ ენათათვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა (თუმცა უაღრესად საინტერესოა ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების ურთიერთობის თვალსაზრისით)“ (იქვე, გვ. 253).

უფრო ადრე აკად. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: „აფიქსთა უმეტესობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული დოკუმენტური ძიება მათ ვერ წვდება. ამისდა მიუხედავად გაბატონებულია აზრი, რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ; თუ ამჟამად აფიქსი ეწოდება სიტყვის ისეთ ნაწილს, რომელიც თავისთავად არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ფუძეს დართული გარკვეულ როლს ასრულებს, წინეთ იგი მნიშვნელობის მქონე იყო. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის წინეთ არ არსებობდა, მაშინ თუ შეიძლება ითქვას ყველა ფუძე იყო“(არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი, ტფ., 1935, გვ. 71) და, მიუხედავად იმისა, **ბა- და -ან** დღეს აფიქსებად მიიჩნევა, ჩვენი აზრით, **ბა-** ქართველურ ენებში სხვა კავკასიური ენებიდან კი არაა შემოსული, არამედ **ბ** ბგერათა კომპლექსში ბგერის გახმოვანების შედეგია და სწორედ **ბა** არის სიტყვათა კომპოზიტებში მთავარი შემადგენელი, ხოლო **შვი (ხიიხ)**, **ღანა** და **ტკან** განსაზღვრავენ მემკვიდრეობის უწყვეტობას, ბმას//ბ-ს, ბა(ბ)-ს.

მოჰყავს რა I საუკუნის ებრაელი მეცნიერის იოსებ ფლავიუსის ცნობა, რომ „თუბალები, წარმომდგარი იაფეტის შვილის თუბალისაგან, მის დროს იწოდებოდნენ იბერებად“, ცნობილი მეცნიერი იოსებ ყიფშიძე ამტკიცებს **თუბალისაგან იბერის** წარმოშობის შესაძლებლობას: „თუბალის(**θυβαλα**) გადაქცევა იბერად(hiver) სრულიად დასაშვებია მეგრული ენის ფონეტიკური კანონებით: ურთიერთშეცვლა საწყისი ხშული **თ**-სი და **ჰh**-სი და სრული გაქრობა უკანასკნელისა, ხოლო ბგერა **ლL**-ს შეცვლა ბგერით **რr**, ან პირიქით, მასში ჩვეულებრივი მოვლენაა...“(ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი თსუ-ს გ-ბა, თბ., 1994, გვ. 25).

ჩვენი აზრით, ებრაული **თუბალი**, ბერძნული **(θοβελ)** //ქართული **თობელი**, ასირიული **Tabal**, მეგრული **იბერი//თიბერი** უნდა იყოს სხვადასხვა ენობრივი ვარიანტები თავდაპირველი, თანხმოვნური მეტყველებისდროინდელი წინადადების **თ ბ რ** გახმიანებისა; ამასთან, მეგრულს გარდა, სხვა ენებში **რ** ბგერა **ლ** ბგერად ქცეულა. საგულისხმოა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილსაც ეთნიკური სახელწოდება **იბერი** ტიბარ-ენიდან (ტიბარითიბარი**თ ბ რ**, კ.ფ.) წარმოშობილად მიაჩნდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინში **იბერი** საწყისი **ი** ბგერა დანაშთი უნდა იყოს **თ** ბგერათა კომპლექსის გახმოვანების შედეგად მიღებული და თავდაპირველი მნიშვნელობაშეცვლილი **თი** (ის, იმ) ნაცვალსახელისა, რადგან **თი** და **ი** მეგრულში ერთდაიმავე მნიშვნელობით იხმარება. მაგ., **თი ბოში//ი ბოში** (ის ბიჭი); **თი საქმე//ი საქმე** (ის საქმე); **თი მარუას//ი მარუას** (იმ კვირას) და ა.შ. ბერძნულ-ქართულ **თობელი**-ში, ასურულ **თაბალი**-ში და ებრაულ **თუბალი**-ში დაბოლოება **ლი** უნდა იყოს უძველესი ხანის წინადადების **„თ ბ რ“ რ** ბგერათა კომპლექსში ბგერის გახმოვანებისა და **რე//ლე** ზმნის არსებითი სახელის დაბოლოებად (რი//ლი) გარდაქმნის შედეგი. მაშასადამე, ჩვენი აზრით, ებრაული **თუბალი**, ბერძნულ-ქართული **თობელი,** ასირიული **თაბალი**, მეგრული (იბერიული) **თიბერი//იბერი** ერთიდაიმავე მნიშვნელობის ეთნიკური სახელწოდების გამომხატველია და მიღებულია თანხმოვნური მეტყველების ხანაში შედგენილი წინადადებიდან **თ ბ რ**.

რას ნიშნავს ეს წინადადება საერთო სალიტერატურო (ქართლურ-მეგრულ-სვანურ), ანუ ახალ იბერიულ ენაზე?

როგორც აღვნიშნეთ, **თ** ბგერათა კომპლექსი თანხმოვნური მეტყველების ხანაში იხმარებოდა ნათელის, გონნათელის, განათლებულის მნიშვნელობით, **ბ** -ბმას, მემკვიდრეობის უწყვეტობას, ხოლო **რ//რინა**-ს ყოფას ყოფიერს ნიშნავდა. თუ მიდებულ სიტყვებს შევაკავშირებთ და თანამედროვე დონეზე გრამატიკულად გავმართავთ, მივიღებთ: „განათლებისთვის მემკვიდრე ყოფიერი“, უფრო სწორად, „განათლებისთვის ყოფიერი მემკვიდრე“.

გარდა ამისა, მეგრულში გვაქვს სიტყვები: ა-თ- (ა-თავ-ა; ა-სრულ-ა); გა-თ- (გაა-თავ-ა; გაა-სრულ-ა); გე-თ- (გა-თავ-და; გა-სრულ-და) და ა.შ.

გამომდინარე აქედან, მეგრული – თ – ძირი შეესატყვისება ქართულ ძირებს - თავ- და –სრულ-, მაგრამ, რადგანაც მეგრულში და, საერთოდ, ვერცერთ ენაზე ვერცერთ თანხმოვან ბგერას ვერ წარმოვთქვამთ ბგერის თანხლების გარეშე, თანხმოვანი ბგერებიდან ბგერის გამოყოფა შეუძლებელია. და კიდევ, მეგრული სიტყვა **თი** (თ) ი. ყიფშიძის მიხედვით ნიშნავს семья, дом, дворь; родь, глава (იხ. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თსუ-ს გ-ბა, თბ. 1994, გვ. 446), ასევე, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიხედვით **თი** (თ) ქართულად ნიშნავს ‘თავი; სახლი; ოჯახი~ (იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 2000, გვ. 226).

ამდენად, **თ** ბგერათა კომპლექსი, გარდა **თოვა**-ს, **ნათელი**-ს მნიშვნელობისა, თავის არსში მოიცავს **თავს** და **სრულს**, ანუ **სრულყოფილს**. მაშინ არქაული ხანის **თ ბ რ** შეიძლება ნიშნავდეს:

თავი მემკვიდრეობისთვის არის, ან **სრულყოფილება მემკვიდრეობისთვის არის**, ან კიდევ, **თავად (მეთაურად) მემკვიდრეობისა ყოფიერი**, ან **სრულყოფილება მემკვიდრეობისთვის ყოფიერი**.

როგორც გაშიფრვის შემდეგ მიღებული წინადადებიდან ჩანს, ჩვენი უძველესი წინაპარი **თ ბ რ** (გახმოვანების შემდეგ თიბარი//თიბერი, ტრანსფორმაციის შემდეგ ებრაული **თუბალი**, მართლაც, თვალსაჩინო და გამორჩეული, საჯიშე ბავშვი დაბადებული.

როგორც ჩანს, იმ უძველეს თანხმოვნურმეტყველებისდროინდელ ხანაში ადამიანის სახელს მთელი წინადადებით გამოხატავდნენ, რომ განესხვავებინათ ერთმანეთისაგან. მაგ., „ზუბაზი“ უძველესი სახელი უნდა იყოს და თანხმოვნური მეტყველების ხანაში არსებული, ალბათ, სახელის **ბ ბ ზ**-ს გახმოვანებით უნდა იყოს მიღებული. რას უნდა ნიშნავდეს იგი? **ბ//ბნა**//მსგავსება; **ბ//**ბმა, მემკვიდრე; **ზ**//ზილა, დაამუშავა (კონკრეტულად), ზოგადად, **ზ**//ზელვა, დამუშავება. მაშინ „ბ ბ ზ“ ნიშნავს „მსგავსებად მოზელილი (დამუშავებული) მემკვიდრე“ (მსგავსებად ქმნილი მემეკვიდრე).

უძველესი სახელი უნდა იყოს თამარიც**თ მ რ**-დან. **თ**//ნათელი, განათლებული; **მ//მა**//მე, პიროვნება; **რ//რინა** (ყოფა). მაშინ თამარი//„განათლებისთვის ყოფიერი პიროვნება“. თებრონე**თ ბ რ ნ**-დან, თებრონე//„ნათელი (განათლებული) მემკვიდრეობისთვის ყოფიერი წყარო სიცოცხლისა“.

ახლა განვიხილოთ ჩვენი თავდაპირველი ეთნარქი „იაფეთი“, თუ „იაფეტი“ (ბიბლიის ბოლოდროინდელ გამოცემაში **იაფეთი** წერია, მეცნიერულ წყაროებში **იაფეტი**). ტ//ტოვა, ზოგადად, ტოვება(იხ. იგივე ნაშრომი). თუ დავეყრდნობით ზემოთ განხილულ მონაცემებს, გვექნება იაფეთი//**თ მ ფ თ**, იაფეტი//**თ მ ფ ტ**.

თ მ ფ თ//„განათლებული პიროვნება, ადუღება-ამაღლებისთვის განათ-ლებული“.

თ მ ფ ტ//„განათლებული პიროვნება, ადუღება-ამაღლებისთვის ტოვებული“. ან კიდევ, „თავი (მეთაური, თავკაცი), ადუღება-ამაღლებისთვის ტოვებული“.

თუ ჩემი შეხედულებები ჭეშმარიტებასთან ახლოსაა **თ ბ რ**-ც და **თ მ ფ თ** (**თ მ ფ ტ**)-ც იმდროინდელ საზოგადოებაში წარჩინებულ პიროვნებებადაა წარმოდგენილი, ისინი ისტორიული პიროვნებებია, თუ მოგონილი „დაბადების“ (ბიბლია, ძველი აღთქმა) ავტორის მიერ, როგორც ამას აკეთებენ ლიტერატურული ნაწარმოების ავტორები პერსონაჟების სახელების შერჩევისას და, რამდენადაც ამ თხზულების პერსონაჟთა სახელები მეგრული (იბერიული) ენით იშიფრება, ბიბლიური **დაბადება** დედანში იბერთა ენაზე უნდა იყოს დაწერილი და არა გადმოცემის თანახმად მიჩნეულ არამეულ ენაზე.

ქართველები კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე ლეგენდარული იბერთა მემკვიდრეები რომ ვართ, აქ მოტანილი მონაცემების გარდა, სხვა უფრო ძლიერი წყაროებითაც დასტურდება, მაგრამ მათი განხილვა შორს წაგვიყვანდა და ამჯერად აქ არ მოვიტანთ. ამასთან ცნობილია, რომ ჩვენი თანამედროვე საერთო სალიტერატურო ენა, როგორც ზოგიერთს ჰგონია, მარტო ქართლური კი არ არის, არამედ, როგორც ნიკო მარი აღნიშნავდა, იბერიული მოდგმის ტომთა კონსოლიდაციის შედეგად მიღებული **ქართლურ-მეგრულ-სვანური**, ანუ ახალი იბერიული ენაა.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია ეთნიკურ-ტომობრივი სახელწოდებების **ქართი**-სა და **მეგრელი**-ს ეტიმოლოგია. ასეა თუ ისე, ჩვენი აზრით, **იბერი**-ს შემდეგ **ქართი** და **მეგრელი** იბერთ მემკვიდრეებს ერთმანეთისთვის სიყვარულითა და მოფერებით არ შეურქმევიათ; ამასთან, საეჭვო არ უნდა იყოს, ქვეყნის შიგნით განხეთქილებაში ვერაგი მტრის ხელი ურევია, მაგრამ არც ისაა სამართლიანობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დამარცხებისას მტერი დავადანაშაულოთ; ყველაზე მეტი დანაშაული ჩვენს და ჩვენს წინაპართა კისერზეა; დაფარულ ჭირს – გამხელილი სჯობია; ფაქტია, რომ იბერები ტომებადაა დაშლილი; თითოეულმა იცის ერთი ტომი მეორე არ არის; იცის, რომ ერთის ჰეგემონობა მეორეზე – უსამართლობაა; ეს ჭეშმარიტება სხვაგანაც იციან და, ალბათ, ამიტომ უწოდეს საქართველოს „მცირე იმპერია“ (სახაროვი); ჩვენც კარგად ვიცით, ხელოვნურად შექმნილი, ბუნებრივ კანონზომიერებას დაუქვემდებარებელი, ნებისმიერი შენობა არამდგრადია და ერთ დროს მაინც დაინგრევა; თავს ნუ მოვიტყუებთ; მიუხედავად იმისა, ღვიძლი ძმები ვართ და ბრწყინვალედ ვიცით, უერთმანეთოდ მხოლოდ ჩვენს სიკვდილს დავაჩქარებთ, რაც დრო გადის, უფროდაუფრო ვშორდებით ერთმანეთს ქართველები. ამიტომაც არის, რომ „...ერთი კუთხის ქართველი მეორე კუთხის ქართველს არ იცნობს ან საერთოდ არ თვლის ქართველად; რომელიმე ქართველი თავის თავს რომელიმე კონკრეტული კუთხის წარმომადგენლად თვლის (თუშად, ინგილოდ, მეგრელად, აჭარელად, სვანად, მესხად, იმერელად...) და არა ზოგადად ქართველად“(ტარიელ ფუტკარაძე, კობა ხაბაზი „რა ვქნა ჩემი საქართველო, უფრო სხვანაირი მინდა, ანუ საშინაო ანალიზი აჭარაში მიმდინარე პროცესების მიხედვით“, გ-თი ახალგაზრდა ივერიელი, 22 მაისი, 1990 წ.).

საყოველთაო გლობალიზაციის ხანაში, როცა მრავალ პატარა ერს გაქრობა ემუქრება, ქვეყნის შიგნით შუღლი, ჰეგემონური ამბიციები, ურთიერთმტრობა და ძლიერთა მიერ სუსტის უფრო შევიწროება კი არა, ქვეცნობიერ ამბიციებზე სულიერი ამაღლება, ერთმანეთის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და სიყვარული, ჰარმონიული თანაარსებობის აუცილობლობის შეგნებაა ერის გაჯანსაღებისა და გაძლიერების ყველაზე რაციონალური საშაულება. და ამ ჭეშმარიტების ნიადაგზე ქართველი ერის ხსნისათვის, სამართლიანი და სრულყოფილი სახელმწიფოს შენებისათვის, ჩვენი აზრით, ერთერთი აუცილებელი ნაბიჯია ვაპატიოთ, მივუტევოთ ერთმანეთს, ერთ უხსოვარ დროს, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, ემოციას აყოლილ წინაპართა შეცდომები და ქვეყანას საეჭვო სახელის ნაცვლად ძველი სახელწოდება **იბერია**, ხოლო ტომებად დიფერენცირებულ მემკვიდრეთ ლეგენდარულ წინაპართა ეთნიკური სახელწოდება **იბერები** აღვუდგინოთ, მითუმეტეს, როცა დაუდგენელია ტერმინ **ქართი**-ს წარმომავლობა.

ბოლოს, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ წამოწეული საკითხით დაინტერესდებიან კომპეტენტური სამეცნიერო დაწესებულებები, მსოფლიოში წამყვანი მეცნიერები, რომლებიც, საბედნიეროდ, ნამდვილად გვყავს ქართველებსაც და ბოლოს დაუდებენ აქ დასმული პრობლემების სრულყოფილ და სამართლიან გადაწყვეტას.

კუკური ფიფია,
“ფაზისის ”აკადემიის ნამდვილი წევრი

აქა ამბავი მიშას ბრძანებულებისა და... საბჭოთა სიმბოლიკის შესახებ

ახლახან წამოწოლილი ვკითხულობ მასალას პრეზიდენტის ახალი ბრძანებულების შესახებ და უცებ საბჭოური სითბო და სიმყუდროვე ვიგრძენი. ჩვენი კაცია პრეზიდენტი მიშა, ასი პროცენტით ჩვენია! აი, რატომ იკატუნებს თავს, თითქოს ამერიკელების მეგობარი და დასავლური ყაიდის დემოკრატია, ვერ გამიგია! ერთ რამედ ღირს მისი ოქტომბრის (ბოლშევიკების საყვარელი თვე) ბრძანებულება - ბიუროკრატული ხელოვნების დიდებული ნაწარმოები, რომელსაც ერთგვარი ვოლუნტარიზმის ელფერი დაჰკრავს - ელექტროდენისა და გაზის მოწოდების შეწყვეტის შესახებ, თუ არ გადაიხდი ნაგვისა და წყლის გადასახადს.

საკაკაშვილმა გამოსცა ბრძანებულება _ **"ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონის 49 მუხლში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ეხება "ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების სამსახურის ინტეგრირებული და კოორდინირებული ადმინისტრირების"** საკითხს. ახალი მოცემულობით, ყველა კომუნალური მომსახურების გადასახადი დაეფუძნება საერთო სისტემას და ორიენტირებული იქნება იმ მომხმარებელთა მომსახურების შეწყვეტაზე, რომლებიც არ გადაიხდიან თუნდაც ერთ კომუნალურ გადასახადს.

რა ეშმაკურადაა გადახლართული ყველაფერი, ზუსტად სკკპ ან ბოლშევიკური ტრადიციებისამებრ. არ ჩააბარებ მარცვლეულს ან ძროხას, ჩაგსვამენ, წინააღმდეგობას გაუწევ, კედელთან მიგაყენებენ. არ გამოიწერ გაზეთებს **"პრავდასა" და "კომუნისტს"** ან **"ზარია ვოსტოკას"** - კვარტალური პრემიის გარეშე დაგტოვებენ. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი უშუალო კავშირი არ არსებობს ბეჭდურ პროდუქციასა და ფულად ანაზღაურებას შორის, მაგრამ ამას იოლად ახერხებდნენ, როგორც, ხაზგასმით აღვნიშნოთ, აკეთებენ დღეს. ახალი ადმინისტრაციულ-ეკონომიკური პირამიდის თანახმად, ერთი გადასახადი ასპროცენტიანად მხარს უჭერს მეორეს, საერთო ჯამში კი ერთ მიზანს ემსახურება: უკანასკნელი კაპიკები გამოღლიტონ ხალხს. თანაც უკანონოდ (არადა, კანონიერებაზე გაუთავებლად ყბედობს ეთერში ხელისუფლება), რომ დაიჯერებ მორიგი **"შაჰის ფირმანის"** უდიდეს გამაჯანსაღებელ ძალასა და ეფექტიანობას...

ეს ოფიციალური ქაღალდი სრულ გენეტიკურ იდენტურობას ამჟღავნებს **"განვითარებული სოციალიზმის"** ეპოქის ტრაფარეტებთან. და საბჭოთა სიმბოლიკის დიდებულ მაგალითად წარმოგვიდგება, რომლის წინააღმდეგაც თითქოს მონდომებით იბრძვიან **"პარლამენტის პარტიელები"**, რის დასტურადაც უკვე პირველი მოსმენით განიხილეს შესაბამისი დოკუმენტი.

ეს აქტი რომ მიიღონ, ჩვენს პრეზიდენტს, კანონის თანახმად, წარსულის სიმბოლიკის გადმოღებისთვის არ ასცდებოდა მწარე ხვედრი. ჩვენთან ჭეშმარიტი და აყვავებული დემოკრატია რომ იყოს, ამერიკული იმპიჩმენტი, ან, ჩვენი რეალიების გათვალისწინებით, ქსნის კოლონიაში ან დრანდის ციხეში ეტაპირება უზრუნველყოფილი ექნებოდა.

ბოლშევიკურ სიმბოლიკასთან ჩვენს ბრძოლას ზოგიერთი არასერიოზულად მიიჩნევს, თვლის, რომ ეს არის მხოლოდ ეშმაკური მანევრი, რათა, ერთის მხრივ, დოკუმენტურად მონიშნონ საბჭოთა მენტალიტეტისა და შესაბამისი ფსიქოლოგიის ლიკვიდაციის პროცესი, მეორე მხრივ, ამ ფუყე აქტით აიმაღლონ საკუთარი ავტორიტეტი ამერიკელი და ევროპელი მეგობრების თვალში. რეალურად კი - განაგრძონ ცხოვრება ცეკას და სახკომსაბჭოს დირექტივების ტრადიციების ერთგულებით, გამოსცენ **"სწორი"** ბრძანებულებები, ამორჩევით დაიცვან კანონები და ცენტრალიზებულად უხელმძღვანელონ ყველაფერს, საზოგადოებრივ ტუალეტებში ერთიანი ტარიფების დადგენასაც კი.

გაქნილები არიან ქართველი **"ნაციონალები"**, სხვათა სიუჟეტების გადმოღებით დაღდასმულები. თუნდაც კინოკომედია **"ბრილიანტის ხელის"** რიგითი პერსონაჟის - სახლმმართველის, რომლის როლს ნონა მორდიუკოვა ასრულებს, **"საქმიანობის"** მეთოდების უპარდონო გადმოღებით გამორჩეულები. ასე გვაბრუნებს იგი უკან, საბჭოთა კავშირში, საიდანაც 20 წლის წინათ გამოვედით.

სავარაუდოა, რომ თვით ნიკოლოზის ძე ბავშვობაში მოწმე იყო იმისა, რომ ალექსანდრე დიუმა-მამის დეფიციტურ ტომს - **"გრაფინია დე მონსორო"** დამატებად მოჰყვებოდა **"დიამატის"** ფოლიანტი ან, უკეთეს შემთხვევაში, - ლეონიდ ილიჩის **"მცირე მიწა"**. იმ **"ილიჩისა"**, რომელიც პოლიტმუშაკად ყოფნის დროს, პოლკოვნიკის ჩინით, წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჭკუას არიგებდა და მითითებებს აძლევდა მარშალ ჟუკოვს და უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს იმაზე, თუ როგორ უნდა მოეგოთ ომი ფაშისტების წინააღმდეგ. ასეთი იყო იგი - უბრძნესი და უსამართლიანესი - გენერალური მდივანი. რატომაც არ უნდა გავიხსენოთ იგი საჭიროების ჟამს და არ ავაჩქაროთ ჩვენი დამუხრუჭებული ფინანსები და ეკონომიკა ეშმაკური ადმინისტრირებით? ცუდად მიგვდის ბიზნესის, ექსპორტის, ინვესტირების საქმეები. სამაგიეროდ ხალხს, რომლის უმრავლესობა უმუშევარია, უკანასკნელ კაპიკებს ართმევენ.

აი, ასეთი **"კინო"** მოუგონა ხელისუფლებამ ხალხს, ვისი კეთილდღეობისთვისაც, ამათ ყური რომ უგდო, იღწვის დღედაღამ. ეს, რა თქმა უნდა, ანტიდემოკრატიულია, ანტისაბაზრო ურთი- ერთობებია და საერთო არაფერი აქვს თავისუფალ ბიზნესთან. ეს ძალიან ჰგავს ცხოვრებას ტრაგიკომიკურ ჟანრში შექმნილ ერთ დიდ პოტიომკინის სოფელს, პაროდიას უღრუბლო სახელმწიფოზე, რომელმაც ბოროტი მტრის ახირების გამო თავისი ტერიტორიის ნაწილი დაკარგა.

ევროპული კანონმდებლობის თვალსაზრისით, ბრძანებულება იმდენად ანტიდემოკრატიული და სულელურია, რომ სულაც არ საჭიროებს არგუმენტებით დასაბუთებას. ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო ევროპის მიყრუებულობაშიც კი პირველსავე მოსმენის დროს მიიჩნევს მას ყოველგვარ საფუძველსმოკლებულ აქტად. ჩვენ კი ადგილობრივ დონეზე კვლავ მოგვიწევს პრეზიდენტისა და დედაქალაქის მერის რეიტინგის ბინძური გამოკითხვის მორიგ დინებაში ჩაყურყუმალება.

ამერიკელები კიდევ ერთხელ მეცნიერულად გაარკვევენ, რომ საკაშვილის პრიორიტეტულ პოლიტიკას მხარს უჭერს გამოკითხულთა 105 პროცენტი, უგულავას - 101. რატომ ასზე მეტი? იმიტომ, რომ გამოკითხვის დროს გაითვალისწინეს გარდაცვლილთა აზრი, რომელიც მათმა ნათესავებმა მკვლევარებს აცნობეს. ზოგიერთმა **"კანონმცოდნემ"** პირველი ვიცესპიკერის რანგში, პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯი ასე შეაფასა: **"თუ მოსახლეობას არ სურს, 10 წლით უკან დაბრუნდეს და სურს, ჰქონდეს გაზი, სინათლე, წყალი და გაიტანონ ნაგავი, ამ მომსახურებისთვის უნდა გადაიხადოს ფული: თოვლის ბაბუა ხომ არ დააფინანსებს ამას?! ჩვენ ხომ არ შეგვიძლია მივწეროთ წერილი და ვთხოვოთ, ჩვენს ნაცვლად გადაიხადოს კომუნალური მომსახურების ანგარიშები?"**

მართალიცაა, ჩვენ, გადამხდელები, უკვე დიდი ხანია, არ ვართ იმ ასაკში, რომ წერილები მივწეროთ ან დავურეკოთ თოვლის ბაბუას. მაგრამ ვიცესპიკერმა, რომელიც არცთუ ისე ახალგაზრდაა და 10 თუ 12 წელიწადია, რაც პარტიულ და საპარლამენტო ხელმძღვანელთა რიგებშია, ასევე, მისი კოლეგების უმრავლესობამ უნდა უწყოდეს, რომ მათი პერსონალური ბრალიცაა ის სოციალური უკუღმართობანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. განვლილ პერიოდში ადამიანებს ნორმალურად ცხოვრების პირობებიც არ ჰქონდათ. ამიტომაც არ გროვდება კომუნალური გადასახადები სრული მოცულობით და ამიტომ უხდებათ სახელმწიფოს მართვა საეჭვო ბრძანებულებებით, რომლებსაც თან სდევს დემაგოგიური განცხადებები. თოვლის ბაბუას ამასთან მართლაც არავითარი კავშირი არ აქვს. ბევრი ხელმძღვანელისა და პარლამენტარის მჭერმეტყველებაში იოლად იკვეთება ლოგიკური კავშირი. ასე ხდება, უთუოდ, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ჩვენი რეალური ცხოვრება, როგორც წესი, არ შეესაბამება იმ **"სიმართლესა"** და დებულებებს, რის დამტკიცებასაც **"ხალხის რჩეულნი"** ცდილობენ. ცნობილია ისიც, რომ თანამდებობრივი დემაგოგიის გარეშე მაღალ საპარლამენტო თანამდებობას ვერ მიიღებ. ფიგურანტებს უხდებათ გამოცდის ჩაბარება აბსურდების დამტკიცებასა და იმაში, რომ თეთრი უეჭველად შავია და პირიქით. არც ისაა ცუდი, რომ ჩვენს პრეზიდენტს მეთორმეტე თაობიდან კავშირი აქვს ბაგრატიონების დინასტიასთან. ამ **"ფაქტს"** იხსენებდა თვით ბატონი საკაშვილი გულახდილობის წუთებში, მაშინ, როცა მონარქობას აპირებდა. მაგრამ ამჟამად ამის საჭიროება მოხსნილია, რადგან საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ მას პრემიერობისკენ აქვს კურსი აღებული.

ამიტომაა, რომ ამჟამად, მინისტრთა საბჭოს ქაღალდშემოქმედების უდიდესი მოცულობის გათვალისწინებით, პრეზიდენტი პროგრესული **"ბრძანებულებათმცოდნეობის"** დაჩქარებულ პრაქტიკას გადის თბილისის ქალაქის თავის რჩევით, რომელსაც, როგორც ჩანს, თბილისის **"გენერალური მერის"** თანამდებობის სამუდამო თანამდებობა აქვს დაბევებული.

ამბობენ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაძლიერებულად ემზადებიან მორიგი **"ნოუ-ჰაუსთვის"**. ამჯერად ლაპარაკობენ ერთიან ადმინისტრაციაზე კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემაში, ერთიანი მაკონტროლებელი და დამსჯელი სისტემის შექმნაზე, ცხადია, დიდი ფულის გაკეთების მიზნით. შედეგად, ურჩ გადამხდელებს საშუალება არ ექნებათ, ისაუბრონ მობილური ან ქალაქის ტელეფონებით, თუ არ გადაიხდიან, ვთქვათ, საკაბელო ტელევიზიის ან მომსახურების ახლადდანერგილი პაკეტის რომელიმე კომპონენტის ფულს.

და კიდევ ერთი რამ ჩაროზად: პრეზიდენტის გარემოცვის ერთ-ერთი ინფორმირებული წყაროს ცნობით, მომდინარეობს ინტენსიური მუშაობა აფრიკელი ბურების საქართველოში ჩამოსახლების პროექტზე, დავით აღმაშენებელის მიერ ყივჩაღების ჩამოსახლების მიბაძვით. გაუგებარია, სად მიუჩენენ ადგილსამყოფელს მესხეთელ თურქებს, რომლებსაც საქართველოში დაბრუნების ევროპული მანდატი აქვთ? მაგრამ ეს დეტალებია, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება ორი ავტონომიის დაწესებით - **"ბურების"** და **"მესხეთელების"** - უჭკნობი **"საბჭოთა სიმბოლიკის"** მიბაძვით, რომელიც ჩვენთან ძალიან საინტერესო გაგრძელებას პოულობს.

საქინფორმი

ანზორ შონია

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

გთავაზობთ ნაწყვეტს ამავე სათაურის წიგნიდან

ყოველ შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გარკვეულ ძალებს მართლაც აღიზიანებთ, რომ კოლხებში მოიაზრებიან მეგრელები და კოლხების სამეტყველო ენა იყო მეგრული, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა ერთმა გარემოებამ. ერთხელ უნტერვიუში ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ჰკითხეს: რა ენაზე მეტყველებდნენ კოლხეთის მეფე აიეტი და მისი ქალიშვილიო, რაზედაც მან უპასუხა – **"ლაზურადო"**. გაოგნებული დავრჩი, და აი, რატომ:

თუ არა ბატონმა თამაზ გამყრელიძემ, სხვამ ვინ უნდა იცოდეს, რომ არათუ კოლხური ლეგენდის შექმნის ეპოქაში (ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეები), არამედ ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებამდე კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში არც ლაზიკა და არც ლაზები არ ჩანან, რის გამოც, გამორიცხულია აიეტს და მედეას ლაზურად ემეტყველათ, ვინაიდან იმ ეპოქაში ლაზური ენა, უფრო სწორად, მეგრული ენის ლაზური კილო-კავი ვერ იარსებებდა. მით უმეტეს დადგენილია, რომ არგონავტები კოლხეთს ფაზისის მიდამოებში მოადგნენ, რომელიც ეგრისის სამეფო ოჯახის დომენი იყო. რატომ უნდა ემეტყველათ მეფეს და მის ქალიშვილს ლაზურად, როდესაც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სახელმწიფო ენა მეგრული იყო?

ამდენად, გაუგებარია, რატომ უპასუხა ასე. ეტყობა, მოერიდა ზოგიერთი მეცნიერის გაღიზიანებას მეგრელების პრესტიჟის ამაღლებით. არ გასულა დიდი დრო ამის შემდეგ და ისევ განმეორდა ინტერვიუ ბატონ თამაზთან; კორესპონდენტმა იგივე კითხვა დაუსვა, თითქოს ეს ეროვნული მნიშვნელობის პრობლემა ყოფილიყო, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვდა.

პასუხი იყო: **"არ ვიცი"**. იბადება კითხვა: ასსეტ მოკლე დროში რა ისეთ წყაროს მიაგნო ბატონმა თამაზმა, რომ ასე დაბეჯითებით გადათქვა ერთი თ უ ორი თვით ადრე ნათქვამი? ვფიქრობ, ახსნა ერტია: მისმა პირველმა პასუხმა, ეტყობა, მართლაც გააღიზიანა მავანნი, და ისიც იძულებული გახდა, გადაეთქვა ადრე ნათქვამი.

ბატონ თამაზის ნათქვამი სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, მან შესანიშნავად იცის, რომ კოლხების სამეტყველო ენა იყო მეგრული რომელზედაც დღესაც მეტყველებენ კოლხების მემკვიდრეები, მეგრელ-ლაზები. სწორედ თამაზ გამყრელიძეა ერთ-ერთი ინიციატორი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს აღიარებისა. როდესაც ბატონ თამაზ გამყრელიძის ავტორიტეტის მქონე მეცნიერი იძულებული ხდება თავი აარიდოს მავანთა გაღიზიანებას და სწორ პასუხს, სხვებს რაღა უნდა მოვთხოვოთ?

თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ძალაუნებურად მიდიხარ იმ აზრამდე, რომ გ. ყორანაშვილის **"მასტის"** მეცნიერების აღშფოთება გამოიწვია ზოგადქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს აღიარებამ, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს და კოლხების (მეგრელების) როლის წამოწევას საქართველოს ისტორიაში ისინი აღიქვამენ იბერიის (ქართლის) სამეფოს და იბერების (ქართლელების) როლის დაუფასებლობად.

ალბათ ამით არის განპირობებული ის, რომ ნაწილი ქართველი მეცნიერებისა ვარაუდობს ქართულკი სახელმწიფოებრიობის დაწყებას ე.წ. "დაიანების" თუ "დიაუხის" ეპოქიდან, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოების თვალში გაცილებით პრესტიჟულია სახელმწიფოებრიობის ქრონოლოგიის დაწყება კოლხეთის ეპოქიდან, ვიდრე მსოფლიო ისტორიაში ნაკლებად ცნობილ ე.წ. **"დიაუხიდან"**.

ეს სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის მაჩვენებელია; მით უმეტეს, მთავარია საქართველოს და ქართველი ხალხის როლი ღირსეულად წარმოჩინდეს კაცობრიობის ისტორიაში და არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ეს კოლხების (მეგრელების) დამსახურება იქნება, თუ იბერების (ქართლელების).

ქართველი ისტორიკოსები რაღაცნაირად თავს იკავებენ ცნებების – კოლხეთის (ეგრისის) და კოლხების (ეგრების) არა მარტო ზოგადქართული მნიშვნელობის აღიარებისაგან, არამედ ეჭვქვეშ აყენებენ იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ძირითად მოსახლეობად მოიაზრებიან მეგრელები და სამეტყველო ენად – მეგრული. თითქოს რაიმე ჩრდილი ადგებოდეს ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორიაზე დასახლებული წვრილ-წვრილი ტომების და ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში წარმოჩენილ საერისთავოების მკვიდრების ღირსებას, თუ მათი საერთო სახელი იყო მეგრელი, რომელსაც ბერძნებმა უწოდეს კოლხი, მათი სამეტყველო ენა კი – მეგრული, ან მისი რომელიმე კილოკავი.

წყაროების უქონლობის გამო, ძნელია ზუსტად დადგინდეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახლებული წვრილ-წვრილი ტომების ვინაობა, ეთნოსი, სამეტყველო ენა და ა.შ., თუმცა, ვფიქრობ, არსებობს რეალური საფუძველი, რათა ისინი მივიჩნიოთ მეგრელებად, რომლებიც ამ სახელებით იმიტომ შემორჩნენ ისტორიას, რომ ცხოვრობდნენ ეგრისის იმ კუთხეებში, რომლებასაც ეს სახელები ერქვათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

როლანდ ჯალაღანია: რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი

გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორთან, როლანდ ჯალაღანიასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა გაზეთმა "საქართველო და მსოფლიო", რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, გაზეთ „ილორის" მთავარი რედაქტორისა და „ფაზისის" აკადემიის წევრის როლანდ ჯალაღანიას გულისტკივილიან წერილებს მკითხველი კარგად იცნობს. იგი არასოდეს მორიდებია მწარე სიმართლის პირუთვნელად თქმას და როცა „საქართველო და მსოფლიოსთვის" ინტერვიუ ვთხოვეთ, უკვე ვიცოდით, რომ მრავალი საგაზეთო წერილისა და 32 წიგნის ავტორი არც ამჯერად დაიხევდა უკან.

როლანდ ჯალაღანია — 1941 წელს, თბილისში დაიბადა. მოსკოვის პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1965 წლიდან მუშაობდა გაზეთებში — „ზარია ვოსტოკა" და „თბილისი", ჟურნალებში — „ნიანგი" და „კროკოდილი"; იყო გამომცემლობა „მერანის" დირექტორის მოადგილე და საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამოცემო საქმეთა კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

— ბატონო როლანდ, ალბათ, უპრიანი იქნება მწერალთან ინტერვიუ ქვეყნის ჭირვარამზე საუბრით დავიწყოთ...

— როგორც დიდი ილია ამბობდა, **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ..."** ისეთი ქვეყანა ავაშენეთ, რომელიც გარეთ მტერს უბრავებს თვალს, შიგნით კი — მოყვარეს!

წლები გავიდა **„ვარდების რევოლუციის"** შემდეგ, მაგრამ ჩვენთან არაფერი დალაგებულა. თავისთავად გარკვეულია ყველაფერი იმ ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტი, სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე მცხეთის სალობიეს სახალხო რესტორნის საპატიო წოდებას მიანიჭებს! ტურიზმის მანიით შეპყრობილი ჩვენი ხელისუფლებისთვის მცხეთა და სვეტიცხოველი მხოლოდ სალობიესთან ასოცირდება...

სადღაც კუთხეშია მიგდებული განათლება, მეცნიერება, კულტურა... ხელისუფლება ამერიკელებს ბაძავს ჰომოსექსუალიზმისა და პროსტიტუციის პროპაგანდაში, გეი-აღლუმების მოწყობაში, საქართველოს მდიდარ ტრადიციებთან დაუნდობელ ბრძოლაში, რელიგიური და ისტორიული ძეგლების დანგრევა-წაბილწვაში, ქალაქის ცენტრში უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტვაში, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევაში, ციხეების შენებაში, პოლიტიკურ პატიმართა მომრავლებაში, პატიმართა ცემასა და წამებაში, კორუფციასა და სხვა ბევრ უბედურებებში...

გამაოგნა იმის მოსმენამ, რომ ამას წინათ ქალაქის ცენტრიდან ვანდალურად აიღეს დიდი ქართველი მოღვაწისა და მეცენატის — დავით სარაჯიშვილის ძეგლი! ნუთუ ერთი ძეგლი მაინც არ ეკუთვნოდა კაცს, რომელმაც დიდი გასაჭირის ჟამს სათანადო ღვაწლი დასდო ქართულ კულტურასა და ხელოვნებას?

ჩვენი დღევანდელი ყოფისა და მომავლის ბარომეტრს წარმოადგენს 2011 წლის თითქმის 7-მილიარდიანი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობას სურს, წარადგინოს პარლამენტში დასამტკიცებლად. მასში არაა გათვალისწინებული პენსიებისა და შემწეობების ზრდა, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების რეზერვი; სამაგიეროდ, სახელისუფლო ხარჯებში გაწერილია 900 მილიონ ლარზე მეტი. ეს ის თანხაა, რომლის გახარჯვის გაკონტროლებას ვერასოდეს შეძლებს ქართველი ხალხი და იგი, ალბათ, მოხმარდება სხვადასხვა ქვეყნებიდან სკანდალურად ცნობილი მომღერლებისა და სხვა ტუტრუცანა დედაკაცების საქართველოში ჩამოყვანას, რითაც ხელისუფალთა ხუშტურები დაკმაყოფილდება.

ახლახან ხელისუფლებამ გაგვიზიარა კიდევ ერთი ვერაგული ჩანაფიქრი, რომელიც საქართველოს გულში ჩაჭედებული უკანასკნელი ლახვარი იქნება. მათი მტრული პოლიტიკის შედეგად საქართველოდან გადახვეწილი მილიონზე მეტი ქართველი მშრომელი ადამიანის ნაცვლად, ***ხელისუფლებას განზრახული აქვს ჩვენთან ჩამოასახლონ ჰოლანდიელ ბურთა 42 ათასი ოჯახი. ჰოლანდიურად სიტყვა „ბური" გლეხს ნიშნავს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ჰოლანდიელი გლეხები ყველაზე ზარმაცი და უვარგისი ხალხია.***

მათ მიერ საქართველოში შემოთესლილი ათასობით ინგლისურის მასწავლებლები ხომ დიდ ქართულ საქმეს აკეთებენ, ახლა მათ რომ უსაქმურ ჰოლანდიელებს ამატებენ!..

— მაგრამ ამ პრობლემების მოძალებას მხოლოდ დღევანდელობას ვერ დავაბრალებთ. სულ რაღაც 20 წელიწადს ითვლის დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და უკვე „მოასწრო" რამდენიმე ომის, მათ შორის სამოქალაქო ომის, გადატანა...

— **„ნაციონალთა"** მიერ ესოდენ მოძულებულმა საბჭოთა კავშირმა უმძიმესი ომი გადაიტანა, მაგრამ სტალინმა ომის დამთავრებიდან ორ წელიწადში გააუქმა საბარათო სისტემა და აადორძინა ეკონომიკა. თანაც მაშინ საბჭოთა კავშირს არავინ ეხმარებოდა და ყველაფრის შექმნა საკუთარი ხელებით გვიწევდა. ახლა კი საქართველოს დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებს მილიარდობით დოლარი აქვთ გადმორიცხული (საგარეო ვალებზე არაფერს ვამბობ, რომელიც ლამის 8 მილიარდს აღწევს), მაგრამ მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, ხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და განათლების სისტემის დასამკვიდრებლად არაფერი კეთდება. ადამიანებს სულს ხდის კომუნალური გადასახადები, რასაც მიზერული პენსია ადარ ჰყოფნის. ამის ფონზე, ვერ გამიგია, რა აქვთ სატრაბახო **„ნაციონალებსა"** და მათ ბელადს, მსოფლიოს რომ იკლებენ — ბედნიერი ქვეყანა ავაშენეთო. თან ყალბ გამოკითხვებს ატარებენ და გაჰყვირიან, მოსახლეობა კვლავ გვიჭერს მხარსო.

ღმერთმა ნუ ინებოს, ქართველი ხალხი იმდენად დაჩლუნგდეს, რომ თავის მტანჯველსა და ამომგდებს დაუჭიროს მხარი. ჩვენ თვითონ გავიდეთ ქალაქში, გამოკითხოთ ხალხი და თუ ათი პროცენტი მაინც დაუჭერს მხარს საკაშვილსა და **„ნაციონალებს"**, მზად ვარ, საჯაროდ მოვიხადო ბოდიში და მეც მათ რიგებში ჩავდგე. ***საკაშვილმა და მისმა გარემოცვამ კარგად იციან, რომ უბრალო, გაღატაკებულ ხალხს ისინი ეზიზღება და, ამიტომ, არჩევნების გაყალბების გარდა, სხვა გზა არ დარჩენიათ. ამიტომ შეცვალეს ასე თავხედურად კონსტიტუცია და ახლა უნდათ ხალხის ყური შეაჩვიონ იმ ამბავს, რომ საკაშვილი პრემიერ-მინისტრად მოგვეყვანოს. ეს ხომ საქართველოს საბოლოოდ დაქცევის ტოლფასი იქნება.*** ამერიკელებმაც და ევროპელებმაც კარგად იციან ქართველი ხალხის ზიზღისმიერი დამოკიდებულება ეთნიკურად და სულიერად არაქართველი საკაშვილისადმი და, ალბათ, ავადმყოფერად ჩაგვთვლიან, თუ დარწმუნდებიან, რომ ქართველ ერს „ნაციონალების" ყურმოჭრილ მონებად დარჩენის სურვილი გვაქვს მოძალებული!

არადა, ხალხში აშკარად დიდი უარყოფითი მუხტია დაგროვებული, რომელმაც, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, დაიწყოს უმართავი პროცესები, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის.

ვერ გამიგია, რა დამსახურებისთვის უნდა დაუჭიროს ხალხმა მხარი საკაშვილს, რომელიც არაფერს აკეთებს პენსიებისა და შემწეობების გასაზრდელად, რომელსაც მონოპოლიზირებული აქვს საწვავის ბიზნესი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს უკიდურესად გაუარესებულ სოციალურ პირობებს და გატანჯული ხალხის გმინვას, რამაც ლამის დაცალა საქართველო ქართველებისგან და ახლა 42 ათასი ბური ოჯახის ჩამოსახლებას აპირებს საქართველოში. განა მხოლოდ იმის გამო შეიძლება დაგიჭირონ მხარი, რომ გააკეთე კარგი გზები და გადააკეთე პოლიცია? როგორც იტყვიან, ამისთვის გმადლობთ, მაგრამ ახლა სხვას მიეცი ქვეყნის გადარჩენის საშუალება, რადგან შენს ხელში ქართული ფენომენი აშკარად დასაღუპადაა განწირული!..

განა თვალშისაცემი არ არის მმართველი გუნდის შეუთავსებლობა საქართველოს რეალობასთან, მის წარსულთან? განა ესენი არ ებრძვიან და მთელი სისასტიკით არ ანადგურებენ განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, ისტორიულ გმირთა ძეგლებსაც კი? სამაგიეროდ, გმირებად **„გვტენიან"** ჰომოსექსუალებს, მეძავებს, ნარკომანებს, სხვა ანომალიურ წარმონაქმნებს... და ამას რეფორმას უწოდებენ!

ამ უბედურებებს სათავე დაუდო ედუარდ შევარდნაძემ, როცა მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვია...

— თქვენი გაზეთი „ილორიც" ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმდროინდელ მოვლენებზე — სამოქალაქო ომს ვგულისხმობ. ყველას გვახსოვს, რომ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოც" აქტიურად მუშაობდა, რათა პოლიტიკოსთა სიავკაცით გამოწვეული ბრაზი და წყენა ქართველებს შორის დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო, საქართველოს კუთხეები ერთმანეთს არ დაპირისპირებოდნენ...

— ეს ის დროა, როცა სახელისუფლო ბანდფორმირებები ისეთივე სისასტიკით უსწორდებოდნენ სამეგრელოს მოსახლეობას, როგორც ამას აფხაზეთში აკეთებდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო ომი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც არასგზით არ დაუშვებდა ქვეყანაში შევარდნაძის მიერ ტოტალური მმართველობის დამკვიდრებას. ***სწორედ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" დაფუძნებით იხსნა ალექსანდრე ჭაჭიამ მაშინ ეს ულამაზესი კუთხე საბოლოო გაჩანაგებისგან, მაგრამ შევარდნაძის ბანდფორმირებების მიერ სამეგრელოსთვის მიყენებული ჭრილობა კიდევ დიდხანს არ მოშუშდება... ქართველებს შორის დაპირისპირების ეს ტალღა თითქოს ჩაცხრა, მაგრამ ახლა კორუმპირებული ხელისუფლება დაუპირისპირდა მოძრაობას და პირადად ალექსანდრე ჭაჭიას. წაიკითხეთ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ იმ პერიოდში დაწერილი პუბლიცისტური წერილები და წამსვე დარწმუნდებით, თუ ვინ იყო მართალი ჭაჭიასა და „მოქალაქეთა კავშირის" მესვეურებს შორის გაღვივებულ დაპირისპირებაში. ავი სიზმარივით აგვიხდა ბატონი ალექსანდრეს მიერ ნაწინასწარმეტყველები!..***

— რაც მოხდა, ვერავინ იტყვის, რომ კარგია, მაგრამ თითქოს ჭკუისსასწავლი გაკვეთილი კი უნდა ყოფილიყო. დღევანდელობას დავუბრუნდეთ. სადღაც, ალბათ, გამოსავალიც არსებობს, მაგრამ საქართველო მაინც ვერ ახერხებს ამ დახშული სივრციდან თავის დაღწევას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას... ინტელიგენციაც თითქოს გააქტიურდა, მაგრამ გათითოკაცებისა და დაპირისპირების, უფრო სწორად, პირველკაცობის სურვილმა დაგვჯაბნა. თქვენ სად ხედავთ ხსნას?

— გამორიცხულია, რომ საკაშვილის ხელში საქართველო ოდესმე გამთლიანდეს, რადგან რუსებს მასთან საუბარი, მრავალ მიზეზთა გამო, არ სურთ. ***რუსეთის კეთილი ნების გარეშე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთებაზე საუბარი რომ აუსრულებელი ილუზიაა, ამაში არც ჩვენს ბატონ-„პატრონ" ამერიკელებს ეპარებათ ეჭვი... ამ ტერიტორიებს ვერც ამერიკა დაგვიბრუნებს, ვერც — ნატო და ვერც — ევროკავშირი.***

მაშინ, ვერ გამიგია, როგორ უნდა გაამთლიანოს საქართველო საკაშვილმა? რუსებმა კეთილი ნება გამოავლინეს და სოფელი პერევი დატოვეს. ვერ ვიტყვი, რომ ამან დიდად აღაფრთოვანა საქართველოს ხელისუფლება, რადგან საქართველოსთვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა ვედარ მიითვისებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ლტოლვილთათვის გამოყოფილ მილიონებს! ასე რომ, ***საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დიდი ფინანსური დარტყმა იქნება საქართველოს სახელისუფლო მაფიისთვის!***

რუსეთის კეთილი ნების საპირწონედ საქართველოს ხელისუფლებამ იმის მეტი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმი შემოეღო! მართლა დიდი მოთმინების უნარი აქვთ რუსებს, ამათ არაპოლიტიკურ და არაეთიკურ საქციელს რომ ითმენენ, თორემ, *ხომ შეიძლება, რუსებმაც გამოაცხადონ მათ ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლის რეჟიმი მეგრელებისა და აჭარლებისთვის? ეს ხომ საქართველოს დაშლის წინაპირობა იქნება!*

მაგრამ, რა გარანტია გვაქვს, რომ სწორედ აქეთკენ არ მიისწრაფვის სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა? ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ, რაც შეიძლება მალე, აღვადგინოთ რუსებთან საქმიანი კავშირები და კეთილმეზობლური დამოკიდებულება

—მაგრამ, ბატონო როლანდ, არის კი ეს საშველი? ეს ტერიტორიები რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო და, ბუნებრივია, თავის გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებს. ბევრი არ დაგეთანხმებათ და რუსეთუმეობას დაგწამებთ... მითუმეტეს, ორი წლისწინანდელი ომის იარები ჯერ კიდევ მოუშუშებელია...

— ალბათ, ამ ომსაც ავიცილებდით თავიდან, ცოტა მეტი გონიერება რომ გამოეჩინა საქართველოს ხელისუფლებას და ჭკვიანი ადამიანების რჩევები გაეთვალისწინებინა... ***გეხსომებათ, ალბათ, საგაზეთო წერილი: „ექვსი გაუთვალისწინებელი რჩევა, რაც აგვისტოს ომსა და ტერიტორიების დაკარგვას აგვაცილებდა", სადაც უაღრესად სასარგებლო რეცეპტია გამოწერილი ხელისუფლებისთვის, მაგრამ, მათ რომ ალექსანდრე ჭაჭიას რჩევებისთვის ყური ეგდოთ, პირველ რიგში მის მიერ შემუშავებული „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიითა და ეროვნული იდეით" უნდა ეხელმძღვანელათ, სადაც პუნქტობრივადაა ჩამოწერილი ქვეყნის წინსვლის კონცეფცია.***

რაც შეეხება ჩემს **„რუსეთუმეობას"**, მე ხუთი წელი მოსკოვში ვისწავლე, 18 წელი საკავშირო ჟურნალ **„კროკოდილში"** ვიმუშავე, უამრავი მეგობარი მყავს რუსეთში (თავი დავანებოთ მილიონამდე ქართველს, რომლებიც რუსეთში საქმიანობენ და იქიდან არჩენენ ოჯახებს), რუსეთშია საძმო სასაფლაოზე დაკრძალული ომში დაღუპული მამაჩემი და არავის უნდა გაუკვირდეს, რომ რუსეთი ასე იოლად არ მეთმობა. დღეს ჩვენ კავკასიონის გადმაგამოღმიდან ვუკიჟინებთ ერთმანეთს ჩვენს იმ სიგლახეებზე, რასაც ანგაჟირებული პოლიტიკოსები გვკარნახობენ. მე კი მსურს, პირისპირ დავუჯდე რუსს და ვუთხრა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა იწყება არა 1918 წლიდან, როგორც მათ არწმუნებენ არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები, არამედ ოცდაათი საუკუნის წინათ, რომ ჩვენ რუსებზე 55 წლით ადრე განვდევნეთ საქართველოდან მონღოლები და სხვა...

— ბატონო როლანდ, მკითხველს პესიმისტურ განწყობას ნუ შევუქმნით, ამაზე რთული წინააღმდეგობებიც დაუძლევია საქართველოს. სჯობს, ოპტიმისტურად დავამთავროთ ჩვენი საუბარი...

— ისევ 90-იანი წლების რუსულ სარეკლამო კლიპს გავიხსენებ, სადაც მსახიობი ნონა მორდიუკოვა ამბობს: **„ყველაფერი კარგად იქნება!"**, მეც მწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, არამედ იმიტომ, რომ ქართველ კაცს გონება გაუნათდება და საბოლოოდ გაარჩევს, **„ვინ მოყვარეა, ვინ — არა"!**

ესაუბრა
მიხეილ წერეთელი

4 თვის აფხაზ ჩვილს თბილისში გულის ოპერაცია გაუკეთდა

დღეს **"ჯო ენის"** კლინიკაში 4 თვის აფხაზი ჩვილის სიცოცხლე გადაარჩინეს. ბავშვს გულის ოპერაცია გაუკეთდა, სისხლი კი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა და თავად ექიმებმა გაიღეს.

ამ დროისთვის ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

აფხაზეთიდან ჩამოყვანილ პატარას თანდაყოლილი გულის მანკი აქვს. ის თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია **"ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიისთვის"** დახმარებით ჩამოიყვანეს.

ირაკლი ალასანია და გიორგი თარგამაძე ერთმანეთს ეჯიბრებიან

ვინ უფრო ხშირად დადის ვაშინგტონში – ირაკლი ალასანია თუ გიორგი თარგამაძე? ეს ორი ლიდერი ერთმანეთს აშშ-ში ვიზიტებში ეჯიბრება.
ადგილობრივი არჩევნების წინ ქრისტიან-დემოკრატები ირწმუნებოდნენ, რომ ამერიკა გიორგი თარგამაძეს უჭერდა მხარს, საპირისპიროს ამტკიცებდნენ „თავისუფალი დემოკრატები". მათი აზრით, ამერიკის ფავორიტი ირაკლი ალასანია იყო.
კვირის დასაწყისში ამერიკაში გიორგი თარგამაძე და ნიკა



ლალიაშვილი წავიდნენ, კვირის ბოლოს კი - ირაკლი ალასანია და მისი თანაპარტიელები.
ორივე პარტიაში აცხადებენ, რომ მათ ლიდერებს ამერიკაში მაღალ დონეზე აქვთ შეხვედრები.
"თავისუფალი დემოკრატები" გამადიდებელი ლუპით უყურებენ ყველა იმ შეხვედრას, რომლებიც ამ კვირაში გიორგი თარგამაძემ აშშ-ში გამართა. თავის მხრივ, ქრისტიან-დემოკრატები დააკვირდებიან, რა დონეზე მიიღებენ ირაკლი ალასანიას ამერიკაში.
ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ორი პარტიის ლიდერის გარდა, ამერიკაში სხვა ოპოზიციონერი ლიდერების ჩასვლაც იგეგმება.

საქართველოში პარლამენტარიზმის აღდგენას დღეს 20 წელი შეუსრულდა

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ დღეს მიმოიხილა პარლამენტარიზმის ისტორია პირველი სესიის ჩატარებიდან 2010 წლამდე და პარლამენტის მუშაობას დღემდე დადებითად აფასებს. საქინფორმთან საუბარში
კონსტიტუციონალისტი და პოლიტოლოგი ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, რომ დღეს საქართველოს პარლამენტი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და

ობიექტური მიზეზების გამო ვერც შეასრულებს.

ხმალაძის აზრით, დეპუტატთა უმრავლესობა ღილაკზე თითის დასაჭერად ჰყავს მმართველ პარტიას შეყვანილი პარლამენტში და მათი ფუნქცია მხოლოდ ხმის მიცემის დრო თანხმობის დადასტურებაა.

ცნობისთვის: 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა არჩევნები, რომელსაც საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები უწოდეს. ოცი წლის წინათ, 12 ნოემბერს, ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გამარჯვება ზვიად გამსახურდიას საარჩევნო ბლოკმა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" მოიპოვა.

დავით ბაქრაძე ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში მეშვიდე პარლამენტის თავმჯდომარეა.

ქართული ენის გასაჭირი

ლეიბორისტული პარტია მიხეილ სააკაშვილსა და დიმიტრი შაშკინს ქართული ენის შევიწროვებაში ადანაშაულებს. როგორც ლეიბორისტების წევრმა კახა ძაგანიამ დღეს საქინფორმთან საუბარში აღნიშნა, ისინი არ აპირებენ, შეეგუონ სახელისუფლო კლანების მიერ ქართული ენის იგნორირებასა და ამერიკულ წესზე გადასვლას.

,,სახელმწიფო ბიუჯეტში შარშან გათვალისწინებული იყო უცხოეთში არსებულ სკოლებზე 150 ათასი ლარის წიგნებისა და ინვენტარის მიწოდება, წელს ეს ციფრი ნულის ტოლია. ასევე, 4 მილიონი იყო გამოყოფილი ახალგორის რაიონში არსებული სკოლებისთვის, რომელშიც შედიოდა პედაგოგთა სახელფასო დავალიანებაც, ეს ციფრი განახევრებულია. ბიუჯეტში



ერთი მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული პედაგოგთათვის, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში ქართულს ასწავლიან, ესეც განახევრებულია. სამაგიეროდ, 10 მილიონია გამოყოფილი ინგლისელი პედაგოგებისთვის საქართველოში," - განუმარტა საქინფორმს ძაგანიამ.
ლეიბორისტები ქართული ენის ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვენ, რაც 2011 წლის ფედერალური ბიჯეტის პროექტში უნდა იასახოს, რომლის განხილვაც პარლამენტში უკვე დაიწყო.
წინააღმდეგ შემთხვევაში მასობრივი გამოსვლებითა და საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

საგანგაშო სტატისტიკა

შს სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს განზრახ მკვლელობის 113, მკვლელობის მცდელობის - 171 და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების 95 ფაქტი დაფიქსირდა.

სტატისტიკის თანახმად, აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებიდან მკვლელობის - 1, მკვლელობის მცდელობის - 5, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების – 4 ფაქტი არასრულწლოვნებზე მოდის.

რაც შეეხება მიმდინარე წელს დაფიქსირებულ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების სისხლის სამართლის საქმეებს, 95 შემთხვევიდან 55 გაუპატიურებაა. სამართალდამცველებმა 23 შემთხვევაში გაუპატიურებაში



ეჭვმიტანილი პირი გამოავლინეს, 32 საქმე კი ამ დროისთვის გაუხსნელად ითვლება.

უმრავლესობას „ქამრების შემოჭრა" აღარ სურს

საპარლამენტო უმრავლესობაში სამივლინებო ხარჯებზე თანხების საკმარისად გამოყოფას ითხოვენ. როგორც ევროპასთან ინტეგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების სხდომაზე უმრავლესობის წევრმა კობა ხაბაზმა განაცხადა, შეუძლებელია, ე.წ. ქამრების შემოჭერა სამივლინებო ხარჯებზეც გავრცელდეს.

მისი თქმით, აუცილებელია, საქართველომ ყველა დონის კონფერენციაში, სამიტზე თუ შეხვედრაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან საქართველოს დეოკუპაციის საკითხი მუდმივად დღის წესრიგსი იდგეს.

ხაბაზს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილიც დაეთანხმა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილის განმარტებით, მივლინებებისთვის თანხების გამოყოფა პრობლემა არც წელს ყოფილა და არც გაისად იქნება.

მაგალითისთვის მან საგარეო საქმეთა სამინისტრო დაასახელა, რომელმაც მივლინებებზე წელს საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა, მაგრამ რამდენი - არ დაუკონკრეტებია.

УСУГУБЛЕНИЕ НРАВСТВЕННОГО КРИЗИСА АМЕРИКИ

НЬЮ-ЙОРК. Политический и экономический кризис Америки неизбежно обострится после предстоящих ноябрьских выборов. Президент Барак Обама потеряет все надежды на принятие прогрессивного законодательства, призванного помочь беднякам и окружающей среде. Высока вероятность того, что все значительные законы и реформы, в целом, «заглохнут» до наступления 2013 года, т.е. до следующих президентских выборов. И без того сложная ситуация, сопровождаемая застоем в экономике и язвительностью средств массовой информации, вероятно, станет еще сложнее, и миру не следует ожидать от внутренне сильно расколотых США особого лидерства.

Бóльшая часть Америки пребывает в скверном настроении, и риторика сострадания практически исчезла. Обе политические партии служат богатым спонсорам своей избирательной кампании, заявляя, в то же время, о защите среднего класса. Ни та, ни другая партия даже не упоминают о бедняках, которые по официальным данным составляют 15% населения, хотя в действительности их еще больше, если учесть все семьи, столкнувшиеся с проблемами здравоохранения, жилья, трудоустройства и т.п.

Республиканская партия недавно издала документ «Обещание Америке», чтобы выразить свои убеждения и предвыборные обещания. Данный документ наполнен чепухой: чего стоит одно только нелепое утверждение о том, что высокие налоги и усиление государственного регулирования являются причиной высокого уровня безработицы в Америке. Он также наполнен пропагандой. Согласно приведенной цитате президента Дж. Кеннеди, высокие ставки налогов могут задушить экономику, но Кеннеди говорил об этом полвека назад, когда максимальные ставки налогов в два раза превышали сегодняшние. Сострадание же в Республиканской программе отсутствует вовсе.

Америка сегодня является парадоксальным примером богатой страны, разваливающейся по причине краха ее главных ценностей. Производительность в США – одна из наиболее высоких в мире. Средний национальный доход на душу населения равен примерно 46 000 долларов: этого достаточно не только для того, чтобы прожить, но и чтобы процветать. Однако страна находится в агонии безобразного нравственного кризиса.

Неравенство в уровне доходов достигло исторических высот, но богатые заявляют о том, что не несут никакой ответственности перед остальным обществом. Они отказываются прийти на помощь нуждающимся и выступают за снижение налогов при каждой возможности. Почти все жалуются, почти все агрессивно защищают свои собственные узкие кратковременные интересы и почти никто даже не пытается смотреть вперед или учитывать потребности других.

То, что похоже на американские политические дебаты, в действительности является соревнованием между двумя партиями в том, кто больше пообещает среднему классу: в основном, в виде губительного для бюджета урезания налогов – в то время когда дефицит бюджета уже превысил 10% ВВП. Американцы, по-видимому, полагают, что обладают естественным правом на государственные услуги, не платя при этом налоги. В американском политическом лексиконе налоги считаются врагом свободы.

Было время, не так давно, когда американцы говорили о необходимости ликвидации бедности внутри страны и за ее пределами. «Война с бедностью» Линдона Джонсона в середине 1960-х годов явилась следствием эры национального оптимизма и веры в то, что общество должно сообща решать общие для всех проблемы, такие как бедность, загрязнение окружающей среды и здравоохранение. В 1960-х годов в Америке начались программы по восстановлению бедных сообществ, по борьбе с загрязнением воды и воздуха и по обеспечению престарелых услугами здравоохранения. Затем раскол общества по поводу войны во Вьетнаме и гражданских прав, вкупе с резким развитием потребительского общества и рекламы, по-видимому, положили конец эре совместных усилий во имя общего блага.

В течение 40 лет сострадание в политике умирало. Рональд Рейган повысил свою популярность посредством урезания социальных льгот для бедных (заявляя, что те жульничают с целью получить дополнительные платежи). Билл Клинтон продолжил данные урезания в 1990-х годах. Сегодня ни один политик не осмелится упомянуть о помощи бедным.

Крупные спонсоры избирательных кампаний обеих сторон платят для того, чтобы их имущественные интересы преобладали в политических дебатах. Это означает, что обе стороны все активнее защищают интересы богатых, хотя Республиканцы делают это немного более активно, чем Демократы. Маловероятно, чтобы даже незначительное повышение налогов на богатых нашло поддержку в американской политике.

Результатом всего этого едва ли будет долговременное снижение силы и богатства США, поскольку американцы больше не инвестируют коллективно в свое общее будущее. Америка еще долго будет оставаться богатым обществом, которое будет, однако, становиться все более расколотым и нестабильным. Страх и пропаганда, как это было в прошлом десятилетии, могут привести к новым международным войнам, возглавляемым США.

А то, что происходит в Америке, может случиться и в других странах. Америка уязвима перед социальным расколом, т.к. ее общество чрезвычайно разнообразно. Расизм и антииммигрантские чувства являются значительной причиной нападок на бедных, или, по крайней мере, причиной того, почему столь многие готовы слушать пропаганду, призывающую не помогать бедным. Поскольку общества других стран уже еле справляются со своим постоянно усиливающимся разнообразием, в них, вслед за США, также может наступить подобный кризис.

Шведы недавно отдали достаточное количество голосов анти-иммигрантской партии правого крыла, что позволило ей быть представленной в парламенте: это является следствием усилением неприятия в шведском обществе растущего числа иммигрантов. Во Франции правительство Николя Саркози попыталось восстановить свою популярность среди рабочего класса, депортируя мигрантов-цыган, которые являются объектом широко распространенной ненависти и этнических атак.

Оба данных примера говорят о том, что Европа, как и США, уязвима перед политикой разделения, т.к. наши общества становятся все более этнически разнообразными.

Урок, который можно извлечь из ситуации в Америке, заключается в том, что экономический рост отнюдь не является гарантией благополучия и политической стабильности. Американское общество становится все более «жестким»: богатеи покупают себе политическую власть, а бедные брошены на произвол судьбы. Что касается частной жизни американцев, то они предаются неуемному потреблению, что лишает их времени, сбережений, внимания и стремления к актам коллективного сострадания.

Миру следует насторожиться: если мы не положим конец отвратительным тенденциям больших денег в политике и безудержного потребления, мы рискуем добиться экономической продуктивности за счет утраты своей человечности.

ДЖЕФФРИ Д. САКС
профессор экономики и директор Института Земли при Колумбийском университете, а также главный советник Генерального секретаря ООН по вопросам Целей развития тысячелетия.

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

ეს კია, მეოთხე საუკუნეში ყველა ქართველი ტომები – ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები და ტიბარენნი – მეფისგან დამოუკიდებელნი იყვნენ; ეტყობა ახემენელ მეფეებისგან თავი დაუხწევიათ. ამ დროს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირას მცხოვრები ქართველები პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამთავროებად იყვნენ დანაწილებული. ეროვნული შემეცნება ან მოჩლუნგებული ან არა და დაკარგული უნდა ჰქონოდათ: არამც თუ ისინი ერტობასა და კავშირზე აღარ ფიქრობდნენ, პირიქით ცდილობდნენ კიდეც, რომ ბერძნების დახმარებით თავიანთ თანამოძმეებისათვის როგორმე ევნოთ და რამე წაეგლიჯათ. დრილები მუდმივ კოლხებსა სცარცვავდნენ, ბარის მოსინიკები და მთიელი მოსინიკებიც ერთი ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ. ქსენოფონტემ არც-კი იცოდა, რომ ყველა ეს ტომები ღვიძლი ძმები იყვნენ; იქნებ ეს თვით ამ ქართველ ტომებსაც დავიწყებული ჰქონდათ? ჰეკატეს დროს, რომელიც დარიოზის (521-486) თანამედროვე იყო, როგორც ეტყობა, ეს ჯერ კიდევ ხსომებიათ: იგი ამბობს, **"მოსხები კოლხების ტომიაო" (Латыщевъ, Известия I, 3)** ხოლო ეს იმასა ნიშნავს, რომ ჰეკატეს მოსხებისა და კოლხების ნათესაობის ამბავი სცოდნია; ამის შემდეგ, როგორც სჩანს, ქართველი ტომები უფრო დაქვეითებულან და ეროვნული შემეცნება დაუკარგავთ, თუმცა-კი პოლიტიკურად ამ დროს სრულებით დამოუკიდებელნი იყვნენ.

რა უნდა მომხდარიყო შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ბერძნების მწერლების ცნობებიდან არ სჩანს. სტრაბონი მოგვითხრობს მხოლოდ, რომ მეორე საუკუნეში 192 წ. შემდეგ მცირე სომხეთისა და სოფენის მფლობელებმა, ანტიოქოზ დიდის ორმა სარდალმა არტაქსიმ და ზარიარდმა, თავიანთი ქვეყნები გააძლიერეს და ქართველკი ტომები ტიბარენნი და ხალდები დაჩაგრეს: ორი მაზრა ჩამოართვეს და დაიმორჩილეს (Georg. VII, cap.3, 28), ამის შესახებ პირველ თავში იყო ნათქვამი. ამ გვარად ქართველი ტომების მდგომარეობა შავი ზრვის სამხრეთ ნაპირას საბოლოოდ შერყეული იყო. მცირე სომხეთისა და სოფენის მფლობელობის ბატომობას ტობარენებისა და ხალდების ქვეყანაში მითრიდატ ევპატორმა მოუღო ბოლო, ვგონებ 88-84 წლებს შორის; მაგრამ არც იმას უბატონია დიდხანს. ამ დროს რომის ძლევამოსილმა ლაშქარმა პომპეიუსის სარდლობით ფეხი შემოსდგა მცირე აზიაში და მითრიდატის დიდებას ბოლო მოუღო. 66 წელს ქრ. წ. აღ. პომპეიუსმა მეფე მითრიდატი საშინლად დაამარცხა. მეფე ბრძოლის ველიდან გაიქცა და კავკასიაში შეაფარა თავი. ამიერიდან იწყობა რომის ბატონობისა და გავლენის ხანა მთელ მცირე აზიასა და კავკასიაშიც. ბერძნების ახალშენები, რომლებიც მრავლად იყვნენ შავი ზღვის ნაპირებზე გაფანტული, რომაელების ბატონობას ხელს უწყობდნენ და ნიადაგს უმტკიცებდნენ.

თავი მეხუთე

საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I-VII საუკუნეების პირველ ნახევრამდე.

პირველად რომაელებმა საქართველოში ფეხი შემოსდგეს 65 წელს ქრ. წ.აღ. თავის თანამოძმეებს გზა გაუკვლია სახელოვანმა სარდალმა პომპეიუსმა, რომელიც ამ დროს მითრიდატ მეფეს ეომებოდა. მეფედ მაშინ იბერიაში არტაგი, ანუ როგორც მას ბერძნული ისტორიკოსი დიონ კასსიოსი ეძახის, არტოკი ყოფილა; როცა რომაელების სარდალმა სომხებზედაც გაიმარჯვა, არტაგმა იფიქრა, ვაი თუ ჩემს ქვეყანასაც მოადგეს და დაიპყროსო, და თვითონაც მის საწინააღმდეგოდ მზადებას შეუდგა; პომპეიუსისთვის-კი რომ თვალები აეხვია და შეედგინა, დესპანები მიუგზავნა, დავმეგობრდეთო (Historia romana, XXXVII, I, Латыщевъ I, 612). რასაკვირველია, იბერიის მეფეს არ შეეძლო მოქცეულიყო: იქნებ პომპეუსს მეგობრობასა და კავშირზე უარი ეთქვა და ქვეყნის დასაპყრობად წამოსულიყო; ამისათვის მშვიდობიანობაზე მოლაპარაკების დროსაც, არტაგი ფრთხილად უნდა ყოფილიყო და ჯარი შეკრებილი ჰყოლოდა, რომ, თუ ვინცობაა მოლაპარაკებას ფუჭად ჩაეარნა, მზა-მზარეულ მხედრობით მტერს სამეფოს სამზღვრებზე დაჰხვედროდა. თვით რომაელების საყვარელი ანდაზაც ხომ ამასვე ურჩევდა მმართველს: "Si vis pacem, para bellum". ბოლოს, როცა რომაელების სარდალმა იბერიის მეფის მზადების ამბავს ყური მოჰკრა, ძალიან ეუცხოვა და გადასწყვიტა: ისევ სჯობია იბერებს ახლავე ანაზდეულად თავს დავეცეო, სანამ არტაგი მოემზადებოდეს და მიუვალ ვიწროებში ჩამისაფრდებოდესო. პომპეუსიც მართლა დაიძრა თავისი მხედრობითურთ და იბერიას მოადგა. არტაგ მეფე სამზადისში იყო გართული და ასე მალე მაინც-და-მაინც რომაელების თავდასხმას არ მოელოდა; პომპეიუსმა ისე სწრაფად გაიარა მთელი მანძილი სამეფოს საზღვრიდამ დედაქალაქამდის, რომელიც მტკვარზე იდო, რომ არტაგმა მხოლოდ მაშინ შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, როცა რომაელების ჯარი სატახტო ქალაქს მიუახლოვდა. თავზარდაცემულმა იბერიის მეფემ გაქცევა ირჩია; მტკვარს გაღმა გავიდა და ხიდი დასწვა, როიმ მტერი ვერ დასდევნებოდა. დედა-ქალაქოს ციხის მცველმა ჯარმა რომ მეფის გაქცევის ამბავი შეიტყო, მხნეობა დაჰკარგა; ბრძოლაში ძლეულკმა პომპეიუსის წინაშე ქედი მოიხარა და სატახტო ქალაქი გამარჯვებულ მტერს გადასცა. რაკი პომპეიუსმა ეს ადგილი, რომელიც მთელ ხეობის კარად ითვლებოდა, ხელში ჩაიგდო, ციხეში თავისი დარაჯები ჩააყენა, თვითონ კი გასწია და მტკვრის მთელი აქეთი პირი დაიპყრო. ისის იყო რომაელების სარდალმაც მტკვრის გაღმა გასვლა დააპირა, რომ არტაგმა მოციქულები მიუგზავნა, ოღონდ ჩვენს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, და ხიდსაც ისევ ავაშენებ და სურსათსაც მოგცემო; ორივე პირობა მეფემ ისევე აასრულა, მაგრამ პომპეიუსი მაინც ხიდზე გავიდა. არტაგს შეეშინდა, ჩემი დაჭრრა არ უნდოდესო, და მდინარე პელორის პირას გაიხიზნა; რომაელების სარდალი უკან დაედევნა, დაეწია და დაამარცხა; მეფემ მაინც ტყვეობას თავი დაახწია, მდინარის იქით ნაპირას გავიდა, ხოლო ხიდი იქაც დასწვა და გაიქცა. იბერების ლაშქრის ერთი ნაწილი ომში დაიხოცა, ერთი ნაწილი კიდევ მდინარეში დაიხრჩო; ვინც გადარჩა, ტყეებში მიიმალა და იქიდან ისარს ესროდა რომაელებს, მაგრამ ესენიც დახოცეს რომაელებმა. მაშინ არტაგმა პომპეიუსს ისევ მოციქულები მიუგზავნა და საჩუქრებით მიართვა. სარდალმა საჩუქრები-კი მიიღო, მაგრამ მეფეს პასუხად შეუთვალა: თუ მშვიდობიანობა გსურს, ჯერ მძევლებად შენი შვილები გამომიგზავნეო. არტაგი ყოყმანობდა, ამასობაში ზაფხულმაც მოატანა და მდინარე პელორი დაპატარავდა; ამით ისარგებლა პომპეიუსმა და ერტ ალაგას, საცა ფონი იყო, გაღმა გავიდა; მაშინ-კი არტაგ მეფემ იკადრა და თავისი შვილები მძევლებად გამოიმეტა. ამის შემდეგ იბერიის მეფემ და რომაელების სარდალმა ხელშეკრულება დასდეს (ibid. XXXVII, 1-3).

ძლევამოსილი პომოეიუსი ეხლა-კი დაიძრა და კოლხიდაში გადავიდა (ibid. XXXVII, 3) და იქ მეფედ არისტარხი დააყენა (ამ არისტარხს ეკუთვნის ის ფული, რომელსაც შემდეგი ზედ წერილი აქვს: კოლხიდის მეფის არისტარხისა). ასე შემოსდგეს ფეხი რომაელებმა საქართველოში: რაკი ერთხელ გზა გაკვლეული ჰქონდათ, კავკასიას ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე. ამიერითგან საქართველო რომაელების მძლავრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მართალია, თუმცა მითრიდატეს შვილმა, ფარნაკმა პომპეიუსის და ცეზარის შორის ატეხილ შუღლითა და მტრობით ისარგებლა (48 წ. ქრ. წ. აღ.), თავის მამის სამფლობელოს აღდგენას შეუდგა, და კოლხიდა და სომხეთიც ადვილად დაიმორჩილა; მაგრამ ცეზარმა, თავისი მეტოქე დაამარცხა თუ არა, მაშინვე მცირე აზიასა და კავკასიაში შემოიჭრა და ფარნაკი დაამარცხა, ხოლო პომპეიუსის დაპყრობილი ქვეყნები რომაელების სახელმწიფოს დაუბრუნა (ibid. X II, 9, 45, 47, 48; **Латыщевъ I, 618-620**).

იბერებს მაინც-და-მაინც ქედი დიდი ხნით არ მოუხრიათ და რომაელების მეგობრობაცა და ბატონობაც უარყვიათ. 36 წელს (ქრ.წ.აღ.) პუბლიოს კანიდიოს კარსოსი იძულებული იყო ისევ იბერების წინააღმდეგ გაელაშქრნა; რომაელების სარდალმა გაიმარჯვა და იმდროინდელი იბერიის მეფე ფარნავაზი (ფარაბაძოს) დაამარცხა და აიძულა მეგობრობა ეკისრნა (Dio Cassius, XLIX, 24 = **Латыщевъ I, 618-620**); არც ეს გამარჯვება ყოფილა ხანგრძლივი: 15 წ. (ქრ.წ.აღ.) იბერიაში ისევ ამბოხება მოხდა (ibid. LIX, 20=**Латыщевъ I, 620**); მაგრამ ალბად ეს აჯანყებაც ჩაუქრიათ რომაელებს და ქართველებს ისევ რომაელების მეგობრობა და ზავი აურჩევიათ. იმპერატორი ავგუსტუსი (29 წ. ქრ.წ. – 14 წ.ქრ.წ.) თავის **"ანკვრიის ძეგლში"** (monumentum Ancurianum) მოგვითხრობს, რომ იბერებს რომის კეისრისა და ერის მეგობრობა ჰსურდათ და იხვეწებოდნენო (**Латыщевъ II, 41**). ასე მაგრად ჩადგეს ფეხი რომაელებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთს საქართველოში; ეს ის დრო იყო, როცა რომაელების განთქმული თავისუფლება და რესპუბლიკური წეს-წყობილება გადაგვარდა და მკაცრი თვითმპყრობელობა აღმოცენდა.

ამ წიგნის პირველ თავში დაწვრილებით გამორკვეულია, თუ რა სამზღვრები ჰქონდა იბერიასა და კოლხიდას სწორედ პირველ საუკუნეში ქრ. წ. ამიტომ ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი მეტი იქნებოდა. აქ უადგილო არ იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი აგვეწერა. მხოლოდ ამ დროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების შესახებ მოგვეპოვება ცნობები, დასავლეთ საქართველო ამ მხრივ აწერილი არ ყოფილა. გამოჩენილ ბერძნების გეოგრაფის აღწერილობა და ქართულ წყაროებისა და ტერმოინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე ყოფილა დამყარებული; იმ დროს, როდესაც რომაელებმა ჩვენს სამშობლოს მძლავრი კლანჭები ჩაუჭირეს, მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა თურმე და მთელი უძრავი ქონება მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ ქონებას თვითოეული გვარიშვილი ან სახლობა-კი არ უვლიდა, არამედ მთელ უძრავ ქონების ერთად-ერთ გამგედა და მეურნედ გვარის უფროსი ითვლებოდა, და **"მამასახლისად"** იწოდებოდა. გვარი და საგვარეულო წეს-წყობილება მაშინდელ ცხოვრების დედა-ბოძი იყო; დაბა-სოფლები და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილები, როგორც საგვარეულო, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში თვითოეული სოფელი მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეჭირა ხოლმე, როგორც ეს მე-XVIII საუკუნემდისაც საქართველოს მთა-ადგილებში, მაგალითად, არაგვისა და ქსნის ხეობებში, შერჩენილი იყო; ამიტომაც არის, რომ შემდეგშიაც-კი, მე-IX-XIII საუკ., როცა ბატონ-ყმობამ სოფლის ერთეულობა დაარღვია და კუთვნილების მიხედვით ყმები სამ უმთავრეს (სამეფო, საბატონე და საეკლესიო) ჯგუფად დაანაწილა, ამ დროსაც მაინც თვითოეულ სოფელს თავისი მტკიცე **"მზღვარი"** (სამზღვარი) ჰქონდა; ეს ძველი საგვარეულო წეს-წყობილების ნაშთია: როცა თვითოეული სოფელი ერთს საგვარეულო საკუთრებას შეადგენდა, რასაკვირველია სოფლებს გარეშემო გარკვეული სამზღვრები ექნებოდა.

მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ჰქონდა თავის კუთხის დანარჩენ გვარებზე; დიდ-გვარიანი მამასახლისი მაზრის მეთაურადა და გამგედ იყო. ქვეყნის გამგეობის სათავეში მეუფე-მამასახლისი იდგა; იბერიის უზენაეს მართველობის უფლება ერთდ საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მაშასადამე, მამასახლისი, იმავე დროს ქვეყნის მეუფედ ითვლებოდა; როდესაც მეფე გარდაიცვლებოდა, ვინც განსვენებულკის მომდევნო იყო წლოვანებით, ის ადიოდა სამეუფეო ტახტზე; ამგვარად, სამეფო უფლების მემკვიდრეობა იმავე საზოგადო წესს მისდევდა, რომელიც თვითოეულ საგვარეულოში სუფევდა.

მეუფე-მამასახლისის მომდევნო საგვარეულოში ქვეყნის მთავარ მსაჯულადა და მხედარმთავრად ითვლებოდა, ხოლო საერთაშორისო საქმეები ამ დროს ქურუმების ხელში ყოფილა. სამხედრო წოდება ამ დროს ჯერ არ არსებობდა; დღევანდელი მიწის-მოქმედებას მიმყოლი გვარიშვილი, ხვალ, თუ ქვეყანას მტერი შემოესეოდა, ჯარის კაცად გახდებოდა ხოლმე. სამეფო გვარეულობას გარდა ყმები სხვებს არავის არა ჰყოლია; ყმებნი, თურმე, სამეფო გვარის მამულზე ისხდნენ და ჭირნახულით განსაზღვრულს გადასახადსა და ბეგარას იხდიდნენ.

რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავისი მეგობრობა ძალით დააკისრეს, ადგილობრივი სახელმწიფო წეს-წყობილება დაუპატიჟებელ სტუმრების ძლიერ გავლენის ქვეშ ხშირად იქნებოდა: ქვცემოდ ბევრი მაგალითებია მოყვანილი, როცა რომაელები სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმეებში ერეოდნენ და ტახტზე თავიანთ მომხრეს სვამდნენ, ზოგჯერ ქართველებს მეზობლების საქმეებში რევდნენ ხოლმე.

როცა 35 წელს ქრ.წ. პართელმა მეფემ არტავანმა იმოდენა კადნიერება გამოიჩინა, რომ რომაელების უფლები ქვეშე მყოფი სომხეთი მათ დაუკითხავად თავის შვილ არშაკს მისცა, კეისარმა ტიბერიუსმა ამით ისარგებლა და სპარსეთის საქმეებში ჩაერია. არტავანის მედიდურებითა თავმობეზრებული და გულზემოსული პართელების ერთი ნაწილი მეფეს აუჯანყდა და რომის კეისარს სამეფო კაცის დანიშვნა სთხოვა, მაგრამ, რომ რომაელებისათვინ არტავანის წინააღმედგ ბრძოლა უფრო გაადვილებინა, კეისარმა იბერიის მაშინდელ მეფეს მისწერა და უბრძანა, რომ ის თავისი ჯარით სომხეთს შეჰხეოდა; ტიბერიუსი დარწმუნებული იყო, როომ მამა შვილს მიეშველებოდა და სწორედ ამ დროს რომაელებს სპარსეთის ტახტის დაპყრობა გაუადვილდებოდათ; კეისარმა სომხეთის ტახტის მეფედ წინდაწინვე იბერიის მეფის ფარსმანის ძმა მიჰრდატი დანიშნა და ნაჩხუბარი ძმები შეარიგა. მიჰრდატმა სომხეთის მეფის არშაკის მსახურები ფულით მოისყიდა და ბოროტმოქმედება ჩაადენინა; ამავე დროს იბერნი დიდი ჯარითურთ სომხეთს შეესივნენ და ქალაქი არტაშატი (არტაქსატა) დაიპყრეს. არტავანმა რომ ეს ამბავი შეიტყო, თავის შვილის სისხლის ასაღებად მეორე შვილი ოროდი საჩქაროდ გამოგზავნა; იმავე დროს ნაქირავებ სპის მისაწვევად აქეთ-იქით მალემსრბოლი აფრინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან **"სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი".**


ლევან V დადიანი

დედოფალი მართა ლევან დადიანის მეუღლე

სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი

დავით დადიანი დაიბადა 1813 წლის 26 იანვარს სოფელ ჭაქვინჯის მახლობლად, საცა მამა მისს, მთავარ ლევან დადიანს ჰქონდა უბრალო ოდა, რომლის ბუხარი დღემდე ზეზე იყო. 26 იანვარი დავით აღმაშენებლის დღე არის და მთავრის ოჯახი ამ დღეს ამა შემდეგ ყოველ-წლივ დღესასწაულობდა. გრიგოლ დადიანმა მიამბო: **"დავითის მიმრქმელი იყო ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ლალა – პეჩუ ჩიჩუა და ძიძა – როგორც მეგრელს, ამის უთქმელობა არ მარგია – ივანე ორზოლიას ცოლი მაიკო".**

რომ წამოიზარდა დავითი, ლევან დადიანმა სამეგრელოს მომავალი მთავარი გაგზავნა ქუთაისს, საცა მას ჰყავდა დიდ-ძალი ნათესავობა დედის მხრივ (დედა მისი, დედოფალი მართა იყო თავადის ზურაბ წერეთლის ასული). აქვე ეგულვებოდა დადიანს დავითის მფარველად იმერეთისა და გურიასამეგრელოს მმართველი თავადი ბებუთოვი, სამთავრო სასახლის დიდი მეგობარი, რომლის სახელს ხშირად შეხვდება კაცი წარსული საუკუნის სამეგრელოს ისტორიაში.

ბებუთოვის რჩევით, ლევან დადიანმა ითხოვა, მისი შვილები დავით და გრიგოლი მიეღოთ სასწავლებლად პაჟების კორპუსში. მთავარ-მართელებმა გენერალმა ერმოლოვმა და შემდეგ პასკევიჩმა კიდეც აღძრეს ამ საგანზე საჭირო შუამდგონლობა (იხ. პასკევიჩის წერილი ლევან დადიანთან, 16 აპრილი, 1834 წელი), მაგრამ სანამ პაჟების კორპუსიდამ პასუხი მოვიდოდა დავითის შესახებ, არ ვიცი რაგვარად, დავითი მიღებული იქნა კორნეტად ლეიბ-გვარდიის ყაზახების პოლკში.

როდესაც ბებუთოვი გადაიყვანეს ქუთაისიდან, ლევან დადიანმა დავითი თბილისს გაგზავნა.

აქ ახალგაზრდა მთავრის შვილს, რომელსაც ნათესაობითი კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლთან, წრედ დაუხვდა თბილისის რჩეული საზოგადოება, ამ საზოგადოების საშუალებით დავითი დაუახლოვდა მთავარმართებლის ამალას და თვით მთავარმართებელსაც – ბარონ როზენს, რომელმაც დავითი მოკლე ხანში თავის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ დანიშნა.

სხვა ვისმე დავითის ადგილზე მთელი თავისი მოცალეობა და ახალგაზრდა გულის სიმხურვალე სამსახურისათვის უნდა მიეცა ამ მაღალ წრეში, მაგრამ დავით სამსახურისთვის ამ დროს მარტო სანახევროდ ეცალა. ის იყო სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე და ამ მემკვიდრეობის მიღებაზე იმას სულ მუდამ დღე უნდა ეფიქრა, რადგან მამა მისს გადაწყვეტილი ჰქონდა მისსავე სიცოცხლეში გადაეცა მთავრობა დავითისათვის და თვალი სულ იმისკენ ეჭირა.

რომ არ აეცდინა დავითისათვის მთავრობა და შემდეგ თვისის სიკვდილისა ტახტის მემკვიდრეობაზე არ ამტყდარიყო ცილობა, როგორც შემდეგ კაცია დადიანის სიკვდილისა, ლევან დადიანმა 1831 წელს სთხოვა მთავარმართებელს პასკევიჩს, წარედგინა მისი შვილი დავითი ხელმწიფე იმპერატორთან სამეგრელოს მთავრის მემკვიდრედ დასამტკიცებლად. ხელმწიფემ კეთილ ინება მისი დამტკიცება იმავე წელს, რაზედაც ეცნობა ლევანს ჩერნიშევის წერილით პასკევიჩთან 1931 წლის 27 მარტს.

სამეგრელოს საქმეები ამ დროს თანდათან უარესად მიდიოდა. მთავარმა ლევან დადიანმა, ნადირობით და ლხინით უფრო დამაშვრალმა, ვიდრე მმართველობით, რომლის სისუსტემ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ შიგ სამთავროში იმის ზოგიერთი პროვინციები ურჩობას უწვედნენ, დაიწყო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა და მის მემკვიდრეს მიანდო **"მოურავთა-ზედა მოურავობა"** და **"წინამჯდომელობა მდივნშიდ"**, ე.ი. არწმუნა მას უმაღლესი ადგილი სამეგრელოს ადმინისტრაციაში და სასამართლოში. ამაზე ლევან დადიანმა აცნობა მთავარმართებელს ბარონ როზენს, რომელსაც სთხოვა შემოეთვალა მისთვის თუ ამ მის განზრახვას ის სცნობდა კეთილსაიმედოდ.

ბარონმა როზენმა ამის საპასუხოდ მოსწერა მთავარს:

"დიდად გმადლობთ იმ ნდობისა და პატივისცემისათვის, რომელშიც მე თქვენ დამიმოწმეთ თქვენის განზრახვის შეტყობინებით. ვისწრაფი გაცნობო, რომ რა-კი თქვენს უგანათლებულესობას სურს თქვენს შვილს, უმაღლესად დამკვიდრებულს მემკვიდრედ, ამ თავითვე მიანიჭოთ მონაწილეობა მმართველობაში და აპირებთ, თქვენი ავადმყოფობის გამო, დანიშნოთ იგი მმართველად სამეგრელოისა, მოურავთა-ზედა მოურავად და მდივანბეგთა უფროსად, მე ჩემის მხრით, არაფერს ისეთს არ ვხედავ, რაც შეიძლება იქმნეს საწინააღმდეგო მთავრობისა, რომ მოიყვანოთ ასრულებაში თქვენი განზრახვა, მით უმეტეს, რომ ის არის უმაღლესად დამტკიცებული სამეგრელოს მემკვიდრედ. დაახლოვებით ვიცნობ თქვენს უგანათლებულესობის შვილს თავად დავითს და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მისი კეთილი თვისებანი განუყრელად იქნებიან მასთან და თქვენგან მისდამი მინიჭებული მოვალეობის აღსრულებით ის დაგანახებს, რომ არის ღირსეული თქვენი შვილი. რაც შეეხება იმ დარიგებას, რომელსაც თქვენ მთხოვთ მისთვის, მე არ ვხედავ საჭიროდ გაუმეორო მას ერთი და იგივე. მე მხოლოდ ვთხოვ მას გაიხსენოს ჩემნი დარიგებანი ამ სამი წლის განმავლობაში, როცა ის იყო ჩემთან, რომელთაგან უმთავრეს ის არის, რომ ვიდოდეს თქვენის უგანათლებულობის კვალზე და ხელმძღვანელობდეს იმ კეთილგანზრახვით, რომლითაც თქვენ ყოველთვის განსხვავდებოდით წინაშე მთავრობისა" (წერილი შედგენილია 1834 წლის 24 ოქტომბერს).

ძლიერ ცოტა მასალები მაქვს ხელში, რომ კვალდაკვალ მივყვე დავით დადიანის ცხოვრებას იმ დღიდამ დაწყებული, როცა ის დაინიშნა როზენის თანხმობით, მოურავთა ზედა მოურავად იმ დრომდის, როცა იმის ხელში გადავიდა სრული უფლება სამეგრელოს მართვა-გამგეობისა, ე.ი. 1840 წლამდის.

სხვა მასალათა შორის მე ხელთა მაქვს ორმოციოდე ბარათი დავით დადიანისა სხვადასხვა წლებში მინაწერი თავის ძმა გრიგოლ დადიანთან. ამ წერილებიდან სჩანს, რომ დავითმა დიდის გულმოდგინებით მიჰყო ხელი სამეგრელოს ადმინისტრაციის და სასამართლოს ხელმძღვანელობას. **"განკვირდებოდიმცა თუ სადამე გეხილა დაუსრულებელი შრომა ჩემი"** სწერდა ის გრიგოლ დადიანს ერთ წიგნში, რომელიც არის დაწერილი 1834 წლის 29 ტარასკონს (ე.ი. ნოემბერს).

"პასუხი ვერ მოგწერე, საყვარელო ჩემო. სხვა და სხვაებს მიზეზებს დავსდებ განსამართლებლად ჩემდა... აჰა, ძვირფასო ჩემო, მიზეზი; შეცულ-ყოფა უმრავლესთა მიერ საქმობათა და გამგეობათა, რომელიცა მერწმუნა მე ჩვენის მშობლისაგან, რომელმაცა გარდმოანაკადა ჩემზედ უმაღლესი დარწმუნება და ღირს-მყო წოდებად განსხვავებულისა... ყურადღებით მმართებლად პროვინციების მოურავთა ზედა მოურავობა, შინაგან მენგრელიისა, წინამჯდომელობა მდივანშიდ საგანმზრახვოშიდ. ესოდენ მრჩობლედი მოწყალება ჩემზედ და დარწმუნება არა ნებას მცემდნენ საქმეებთაგა განშორებისა..."

ერთი წლის შრომის შემდეგ დავითი სწერს თავის ძმას:

"ვცდილობ საქმეების წარმართვას შორის რეგვენთა და ბრიყვთა გონებათა. ნუ დამგმობ აქამომდე თუ ვერა შემოვიყვანე დიდადი ცვალება, ხელნი და ფეხნი შეკრულნი მაქვნ".

ამავე წელს ერთ დიდ წერილში (რომლის თავი დაკარგული არის) დავითი აუწერს თავის ძმას სამეგრელოს საქმეთა მიმდინარეობას და სხვათა შორის უჩივის თავისს მარტოობას სამეგრელოს მართვა-გამგეობის სარბიელზე.

"...მოურავნი ლეჩხუმისანი დაცვლილ არიან ჩემს მიერ და სხვანიცა საზოგადოდ დაწყობილება სრულიად სამეგრელოსა ზედა მალე განეცემიან. მე ფრიადსა ვალალებასა შინა მყოფი, ურიცხვთა საქმეთაგან გარეშეცული ქვეყანასა მას ყანდარეთისასა, ვარ ჭმუნვარებით პირად-პირადთა გამო საქმეთა და არ მივის მისთანა ვინმე, რომელს იგი წარვუთხრა ყოველი გრძნობილი ჩემგან საამო და სამწუხარო და მით მივსცე თავსა ჩემსა მათ მიერ ლხენა..."

"ფრიად ვალალებასა შინა მყოფს" ახალგაზრდა მმართველს წინ გადაეღობა სხვადასხვა დაბრკოლება. და ეს დაბრკოლება უმეტეს ნაწილად ძველის თაობისაგან მომდინარეობდა, რომლის თავხედობას დავითი ალაგმვას უპირებდა. ამათ წრეს ხანდახან თვით ლევან დადიანი უჭერდა მხარს და ამის გამო, დავითმა მოარიდა თავი მამის ურჩობას, დაუტევა სამეგრელო და ის წავიდა თბილისს 1838 წლის ზაფხულის დამლევს.

იქიდამ დავითი სწერს მის ძმას გრიგოლს: **"ნაცვლად სიამოვნებისა და მადლობის ღვაწლისათვის მარდ შიშს და ლანძღვას ვერ გავუძელ. რაღა დროს აწი ჩემი ლანძღვა არის. მოვშორდი და მოვარიდე (ამათ) თავი. პარტიები მრავალი გაკეთდა ოდიშში საწინააღმდეგოდ ჩვენდა. საქმობა აღარ არის. მამულს და ადგილს (მამა) ბზესავით იცემება. მამა ჩვენს ერთ მინუტს თავის მდგომარეობაზე ვერ ნახავს ვერც სტუმარი, ვეღარც მასპინძელი. მე ვეღარ გავსძელ და გამოვიქეც"** (წერილი გრიგოლ დადიანთან.)

მეორე წერილში მასთანვე ისა სწერს: **"შინაურობა ჩვენი ფრიად აღრეულს მდგომარეობაშია. შემოსავალი დატაცებულ, სამართალი დადუმებულ, წესი და წყობილება აღრეულ, ვაჭრობა დაცემულ, მე ვეღარ შემძლე მუნ რისამე წარმართებისა დავიტევე ყოველი და ვსცხოვრებ თბილისს გოლოვინისგან პატივცემული მეტად. ორი რაიმე გარემეზომი წინამიდგა: ანუ ჯერ შფოთი მამისათანა მოსპობისათვის ამა ყოველთასა, ანუ დაცვა საღმთოისა სჯულისა და აწი უკანასკნელი აღვირჩიე მინდობილმან ღვთისამან".**

მაგრამ ლევან დადიანის თითქმის 35 წლის ოდიშ-ლეჩხუმის მმართველობას ბოლო ჰქონდა მოღებული. თუ ავადმყოფობიდამ ის როგორმე მოიბრუნებდა პირს, მისი დრო ნადირობას და ლხინს უნდებოდა და ქვეყნის მმართველობა უპატრონოდ იყო მიშვებული. ამის გამო ბევრგან სამეგრელოში უწესობა მოხდა. საჩიჩუოში ნამდვილი ბუნტი ატყდა წინააღმდეგ მთავრისა. კაცია ჩიჩუამ სამ ათას კაცს იარაღი აჰკიდა და ციხეები გაამაგრა. ამათ ხელს უწყობდა **"დიდი ნიკო"** დადიანის შვილი გიორგი. ამ დღის მომსწრემ, ლევან დადიანმა განიზრახა თავის მემკვიდრის დავითისათვის, რომელიც დღემდის მოურავთა ზედა მოურავიც იყო და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეც, გადაეცა სამეგრელოს მმართველობა და თითონ უარი ეთქვა მთავრობაზე. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ლევან დადიანმა მიჰყო ხელი იმავე 1838 წელს.

(გაგრძელება იქნება)

კიდევ ერთი სახელისუფლებო ყულფი მზადდება ხალხისათვის...

თითქოს გადასახადები აკლდეს სიღარიბისა და უსასოობისაგან გამწარებულ ხალხის – ხელისუფლებამ ახალი ინიციატიოვა წამოიწყო – მალე ისინი, ვისაც ნაგვისა და წყლის გადასახადები დაუგროვდებათ, უშუქოდ იქნებიან, რადგან მთავრობის ინიციატივით ამ საქმის ბოქაულად გადაქცეული "თელასი" და "ენერგოპრო", რომელთაც აბონენტების ყველაზე დიდი ბაზა აქვთ, დავალიანების მქონე თბილისელებს შუქს გამოურთავენ, რომლის ხელმეორედ ჩართვისათვის აბონენტმა გარკვეული საჯარიმო თანხა უნდა გადაიხადოს. ეს ენერგოკომპანიები გაწეული მომსახურეობისათვის გასამრჯელოსაც მიიღებენ. რამდენს ან საიდან გადაუხდიან "თელასსა" და "ენერგოპროს", ჯერჯერობით უცნობია. ენერგოკომპანიები ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობენ და აცხადებენ, რომ ერთიან ადმინისტრატორთან ტექნიკურ საკითხებზე ამჟამად მათი იურისტები მუშაობენ.

მაინც, რატომ გადაწყვიტა პარლამენტმა კანონის გამკაცრება? პასუხი არც ამ შეკითხვაზე არსებობს! საკონონმდებლო ორგანო ყველაფერს სვმეკს "აბრალებს", თუმცა, დღესავით ნათელია, რომ მარეგულირებელი კომისის ამ ცვლილებების ინიციატორი არ გახლავთ. მას სწორედ ხელისუფლებამ დაავალა ამგვარი უმსგავსოების ინიცირება.

ის კი არა, "თბილისის წყალმა" (რომლის მიღმაც ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები დგანან) ტარიფის გაზრდის მოთხოვნით მიმართა სემეკს, მაგრამ კომისიამ მისი განაცხადი არ დააკმაყოფილა, რადგან ხელახალი გაანგარიშების შემდეგ აღმოაჩინა, რომ წყლის რეალური ტარიფი ამჟამად არსებულ საფასურზე (1 სულზე 2 ლარი და 40 თეთრი) ბევრად ნაკლები უნდა იყოს!

ურჩ გადამხდელებს ("ურჩები" კი ისინი არა იმიტომ არიან, რომ პრინციპულად არ იხდიან წყალზე დაწესებულ გადასახადს, არამედ იმიტომ, რომ აღარაფერი აქვთ გადასახდელი – რედაქცია) რომ დავალიანების დაფარვა აიძულოს, წყლის კომპანიამ მოსახლეობის სატელეფონო გაფრთხილების გზას მიმართა. აბონენტებს შპს "საფინანსო-საკრედიტო ბიურო" აფრთხილებს, რომელიც ბანკებისა და კერძო პირების დავალიანებების ამოღებაშია გაწაფული.

ასე ყვლეფავენ ხალხს წყალზე ფულის გადასახადით იმ ქვეყანაში, რომელიც "წყალს მიაქვს", როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მნიშვნელობით.

მოკლედ, საქართველოს ხელისუფლება და მათი ნაციონალი ბელადი უკანასკნელ სასუნთქ გზასაც უკეტავენ ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას, რომელიც დამდეგ ახალ წელს მორიგი სახელისუფლებო "საჩუქრით" შეეგებება!

მალე ალბათ ჰაერზეც დაგვიწესებენ გადასახადს "ქვეყნის აღმაშენებელი ნაციონალები"!

ეზიზღება ამ ხელისუფლებას ქართველი ერი და მის დახოცვას, ან სამშობლოდან გაძევებას მიესწრაფვის-მეთქი, არაერთგზის აღგვინიშნავს, მაგრამ დედაქალაქის მოსახლეობა, როგორც წესი, დუმილით ხვდებოდა ჩვენს ამ ღაღადისს. ადამიანებო!

ახლა მაინც თუ ხედავთ, სადამდე მიგიყვანათ თქვენმა დუმილმა?

"ილორი"

ახალგაზრდა ილორელის გამარჯვება!



30 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში, სასტუმრო **"ანაკლიაში"** ჩატარდა **"ოქროს პერგამენტის"** დასკვნითი ტური... კუნკურსი ტარდებოდა ორ ეტაპად: პირველი ტური მიზნად ისახავდა სამეგრელო-ზემო სვანეთის 14 წლიდან 25 წლამდე ავტორთა ნაწერების შერჩევას. შემოსულ იქნა სულ 200-მდე ახალგაზრდა მწერლის ნაშრომი. ჟიურიმ გამოავლინა 20 მეორე ტურში გამსვლელი და გამოსცა წიგნი სადაც შეტანილი იქნა ამ 20 ნომინანტის ნაწარმოებები. მეორე ტურში უნდა გამოვლენილიყო კიდევ 6 გამარჯვებული სხვადასხვა ნომინაციაში და სწორედ ერთერთ ნომინაციაში **"ექსპრესიული პოეტური სიტყვა"** გაიმარჯვა გიორგი გობეჩიამ, რომელიც გახლავთ ახალგაზრდა **"ილორელი"**. გიო გობეჩიას ლექსები და ესეები პერიოდულად იბეჭდებოდა ჩვენ გაზეთში, ჩვენ ვუერთდებით გიორგის სიხარულს, რადგანაც მისი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც არის. ის ლექსები, რომლებმაც მიიღეს პრიზი, ფართო საზოგადოებამ სწორედ **"ილორის"** მეშვეობით გაიცნო.

გულითადად ვულოცავთ გიორგი გობეჩიას ღირსეულ გამარჯვებას და ვუსურვებთ ახალ ოლიმპოებზე ასვლას!

შესანიშნავი სადამო იყო, რისთვისაც გაზეთი **"ილორი"** მადლობას უძღვნის კონკურსის ორგანიზატორებს და პატივცემულ ჟიურის! გიორგი წინასწარ გააფრთხილეს – თუ შენი ლექსი მიიღებს პრიზს, მაშინ იგი დამსწრე საზოგადება უნდა წაუკითხოო. გამარჯვებულმა ავტორმა ეს ლექსი წაიკითხა:

ჩამონგრეულან, დალეწილან ყველა ზღუდენი
გზები გვქონია დანგრეული თანაც მრუდენი
არვის ეგონა აქამომდის, რომ მოვადწევდით,
"ვეფხისტყაოსანს", "დავითიანს" ჩვენ, რომ დავწერდით.
მაგრამ ოდესღაც დიდნი ვიყავთ, გვყავდა მეფენი.
ვთინათინობდით, გვადგებოდა სხივთა ეთერი,
ვიყავთ ძლიერნი, ლამაზები თანაც მშრომელნი
ღმერთს ვადიდებდით, აგვიგია სვეტიცხოველი,
როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, ვდარდიანობდით,
მადლი გვიცავდა გიორგობის, მარიამობის.
გვიყვარდა ლხენა, კახელებთან ღვინის დაწურვა,
როგორ სისწრაფით ის დღეები ჩვენგან წასულან,
თუნდაც სამხრეთში ბასიანთან, რომ გვიომია
იგი ჩაბარდა უკვე ხსოვნას და ისტორიას!
ახლა ახალი შამქორი და დიდგორი გვინდა,
ვეღარ ისვენებს მამის ხმალი, ქარქაშში მშვიდათ!
გვინდა, მესტვირე აჭარელი, სტვირს, რომ შემოჰკრავს,
მეგრელს, ისედაც ჩაბალახით მთვარე შემოსავს!
თუ სვანეთიდან წამოსულა ბევრი მხედარი,
აფხაზეთიდან ცხენით მოჰქრის თარაშ ემხვარი!
აჰა, იკვრება საქართველოს მთელი ფერხული,
მობრძანებულა ჯავახი და ფშავი, ხევსური,
გურულები და იმერლები ერთად ლაღობენ,
გადავლახავთო მტრის წინაღობებს!
ნიკორწმინდაში რაჭველები ამბობენ ლოცვას,
ღმერთო მაღალო გადავურჩეთ მტრებისგან ხოცვას!
ჰე, საქართველო გეუბნები შენ თავს აჯობე,
ყველა მზაკვარი, მოღალატე წამოაჩოქე!
ჰე, დაიქუხე ერთიანად, როგორც არასდროს
შენ არ იფიქრო, რომ ამ წუთას ვინმე

გღალატობს!
როცა აქა ვართ საქართველოს ყველა მხედარი,
ვერ გაიტაცა მთვარემ, ახლა, თარაშ ემხვარი!

გაზეთ ილორის ერთგული მკითხველი გაიხსენებს, რომ სწორედ ეს ლექსი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში... **"ილორი"** მომავალშიც გააგრძელებს ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთან თანამშრომლობას.

დაე ჩვენი გაზეთი იყოს გიორგი გობეჩიას მომავალი წარმატებების ფეხბედნიერი მეკვლე!

გაზეთი "ილორი"

მასაიოში კამოჰარა:

მე ჯერ კიდევ ვსწავლობ საქართველოს პოლიტიკას და ის ძალიან ძნელი გასაგებია

...ძალიან ძნელია ქართველების პოლიტიკის გაგება. სხვა ელჩებმა მითხრეს, რომ არავითარი პროგნოზი საქართველოს პოლიტიკაზე არ უნდა გამეკეთებინა. ერთმა ისიც კი მითხრა, რომ არც წარსული არ უნდა შევაფასო, რადგან შეიძლება შეცდეო...

მართალია, საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყნის საელჩო ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ წელს, გაზაფხულზე გაიხსნა. ქვეყნის პირველი ელჩი კი ბატონი მასაიოში კამოჰარა დიპლომატიურ მისიამდეც სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, ამიტომ საქართველოს მაშინდელსა და ახლანდელ ყოფას შორის პარალელების გავლება არ უჭირს. ჩვენი რესპოდენტი ზომიერად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, თუმცა ჩვენთვის საინტერესო შეკითხვებზე მაინც მივიღეთ პასუხი. რატომ უწოდებს ქართულ პოლიტიკას არაპროგნოზირებადს და რას გვირჩევს რუსეთთან ურთიერთობაში გამოცდილი ქვეყნის დიპლომატი, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

– გვიამბეთ თქვენი დიპლომატიური კარიერის შესახებ, საქართველოში ჩამოსვლამდე სად მოღვაწეობდით?

– საქართველოში ჩამოსვლამდე ვლადივოსტოკში მთავარი კონსული გახლდით. იქ სამ წელიწად-ნახევარი დავყავი. რუსეთში დიპლომატიურ სამსახურში ადრეც ვიყავი, საბჭოთა კავშირის დროსაც. გარდა ამისა, ვმუშაობდი ვენასა და ბანკოკშიც.

– საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენი ქვეყნის შესახებ რა იცოდით? როგორი რეაქცია გქონდათ, როცა საქართველოში გამომგზავრების შესახებ შეიტყვეთ?

– ვიცოდი, რომ საქართველოში იაპონიის საელჩო უნდა გახსნილიყო. როდესაც მითხრეს, რომ მე ვიქნებოდი იაპონიის პირველი ელჩი საქართველოშ , ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო. სანამ საქართველოში ელჩის სტატუსით ჩამოვიდოდი, თქვენს ქვეყანასთან შეხება ადრეც მქონია. თბილისში ორჯერ ვარ ნამყოფი; პირველად – 1985 წელს, მაშინ საქართველოში მშვიდობა იყო, მეორედ კი 1999 წელს ჩამოვედი, სულ რაღაც ორიოდე დღით. მაშინ შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თბილისი საკმაოდ ბნელი და წყნარი ქალაქი იყო.

– და რა შეიცვალა თქვენი მეორე ვიზიტის შემდეგ?

– როდესაც აქ ჩამოვედი, საქართველოში აკრედიტებულ ყველა ელჩს შევხვდი. ზოგიერთ მათგანს საქართველოში მუშაობის 4-5 წლის გამოცდილება ჰქონდა. ასევე, აქ ჩამოსვლამდე იაპონიაში საქართველოს ელჩს შევხვდი, რომელმაც მითხრა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ძალიან დიდი ცვლილებები მოხდაო. ცვლილებები მართლაც შესამჩნევია.

– საინტერესოა, რამდენად ახერხებთ საქართველოში უძველესი იაპონური კულტურის წარმოჩენას?

– გასულ წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იაპონური თოჯინების გამოფენა მოეწყო, იაპონელმა მუსიკოსებმა კი რუსთაველის თეატრში კონცერტი გამართეს. ვგეგმავთ, რომ მომავალი წლის თებერვალში თბილისში იაპონური ფილმების კინოფესტივალი ჩავატაროთ. ასევე, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვას ვაპირებ.

– პოლიტიკაში გადავინაცვლოთ, ცნობილია, რომ იაპონიას ტერიტორიული დავა აქვს რუსეთთან – სამხრეთ კურილები დე ფაქტოდ და დე იურედ რუსეთის შემადგენლობაში იმყოფება – ასეთია ოფიციალური იაპონიის პოზიცია. მიუხედავად ამისა, თქვენს ქვეყანას რუსეთთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოზე, თუნდაც გასული წლის აგვისტოს ომი, რომ გავიხსენოთ; როგორ ახერხებთ, რომ ქვეყანასთან, რომელთანაც დავა გაქვთ, ამავე დროს ცივილური ურთიერთობაც იქონიოთ?

– ჩვენც გვაქვს რუსეთთან ტერიტორიული დავა. ამ კუნძულების გამო ჩვენ მშვდობის დოკუმენტისთვის ხელი არ მოგვიწერია, თუმცა ჩვენ გვაქვს ორმხრივი დეკლარაცია, რომ ჩვენს შორის ომი, – მეორე მსოფლიო ომს, დასრულდა. რუსეთთან ჩვენი ურთიერთობები ცუდი არ არის, მაგრამ მთლად კარგსაც ვერ ვუწოდებ. ჩვენ ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს განვითარებისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ ტერიტორიული საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია, არ შეგვიძლია ორმხრივი ურთიერთობის პოტენციალის ბოლომდე გამოყენება. თუმცა ჩვენ მეზობლები ვართ და ერთმანეთთან კონტაქტს ვამყარებთ. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, ამ მხრივ ჩვენი ურთიერთობები ორმხრივ სარგებელზეა გათვლილი.

–იაპონიას აშშ-სთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ჩვენი კი, შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯებს ახლა ვდგამთ, რას გვირჩევთ, როგორ წარვმართოთ ურთიერთობები ისე, რომ არც „ენოლა გეის" მსხვერპლნი გავხდეთ და არც აშშ-მა აღგვიქვას მორიგ შტატად?

– ძალიან რთული შეკითხვაა... ვფიქრობ, რომ აშშ-ს რაიმე ტერიტორიული ამბიცია საქართველოს მიმართ არ გააჩნია. აშშ-ის კულტურის ზოგიერთი ასპექტი მთელ მსოფლიოზე, მათ შორის ახალგაზრდა იაპონელებზეც, გავლენას ახდენს, დაწყებული მოდით, ცხოვრების წესით... ამავე დროს ამერიკაში ჩვენი კულტურის ექსპორტსაც ვახდენთ. იაპონურ კულტურას იქ ბევრი ფანი ჰყავს.

– იაპონია უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქვეყანაა. საინტერესოა, დასავლეთთან ინტეგრირების პროცესში როგორ ახერხებთ თქვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებას? იგივე პრობლემის წინაშე ჩვენი ქვეყანაც დგას და ტრადიციების მივიწყების პრობლემა ჩვენთვისაც აქტუალურია...

– ჩვენს ახალგაზრდებს იაპონური კულტურა ძალიან უყვართ. თუმცა ყველას, რა თქმა უნდა, არა. მაგალითად, იკებანა ახალგაზრდა იაპონელ გოგონებში საკმაოდ პოპულარულია; ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჩაის ცერემონიის ტრადიციას სწავლობს. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ადამიანის ცხოვრებაში არის ის, თუ როგორ გამოიყენოს ფილოსოფია და არა – ტექნიკა.

– საინტერესოა თქვენ, როგორც დიპლომატი როგორ აფასებთ ტალიავინის დასკვნას, რომელმაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია?

– ვფიქრობ, საკმაოდ ობიექტური დასკვნაა. ზუსტად ამიტომაა, რომ ორივე მხარეს თავისი პრეტენზია აქვს.

– როგორია თქვენი აზრი საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? თუნდაც საქართველოს პატრიაქრის გარშემო აგორებულ შავ პიარზე რას იტყვით?

– მე ჯერ კიდევ ვსწავლობ საქართველოს პოლიტიკას, რაც ჩემთვის ძნელად გასაგებია. მე ვნახე რადიკალური ოპოზიციის პროტესტი ზაფხულში და, სიმართლე გითხრათ, ლოგიკა მთლად ვერ გავიგე – როგორ დაიწყო და როგორ დასრულდა (?!). უფლება არ მაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობას რჩევა მივცე.

– როგორც ელჩისთვის, რამდენად ადვილია თქვენთვის საქართველოში მუშაობა?

– უკვე რვა თვეა, რაც თბილისში ვიმყოფები. ყოველ კვირას ახალ მეგობრებს ვხვდები და ჩემთვის, როგორც ელჩისთვის, ძალიან სასიამოვნოა საქართველოში ყოფნა. როგორც გითხარით, ძალიან ძნელია ქართველების პოლიტიკის გაგება. სხვა ელჩებმა მითხრეს, რომ არავითარი პროგნოზი საქართველოს პოლიტიკაზე არ უნდა გამეკეთებინა. ერთმა ისიც კი მითხრა, რომ არც წარსული უნდა შეაფასო, რადგან შეიძლება შეცდეო. დიპლომატისთვის ეს ძალიან ძნელია.

–დაბოლოს, როდესაც საქართველოში იაპონიის საელჩო იხსნებოდა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაჟღერდა, რომ ეს ხელს შეუწყობდა იაპონური ინვესტიციების მოზიდვას, გამართლდა მათი ეს ვარაუდი?

–ამჟამად იაპონია თვითონ არის ეკონომიკურ კრიზისში. ამ ეტაპზე იაპონელი კომპანიების უმეტესობა სხვაგან დიდი ინვესტიციების დაბანდებას არ გეგმავს. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, იაპონელი ბიზნესმენების ბევრ დელეგაციას შევხვდი, რომლებიც სტამბულში მუშაობენ. დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს ისინი საქართველოშიც დაიწყებენ ინვესტიციების დაბანდებას.

სალომე გოგოხია

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღეგანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ტომი ჰემელი

დაიბადა 1943 წლის 16 ოქტომბერს, შოტლანდიაში

თამაშობდა კლუბებში **"სელტიკი"** (შოტლანდია) და **"ნოტინგემ ფორესტი"** (ინგლისი).

ფეხბურთის მოედანზე დინჯად მოსიარულე ჰემელის პირველად ხილვა მაყურებელს იმის მტანჯველ ფიქრს უჩენდა, რომ ეს ზანტი ფეხბურთელი დიდ ვერაფერ სარგებლობას მოიტანდა საკუთარ გუნდს. მაგრამ სწორედ ჰემელის ამგვარ სიზანტეს შეჰყავდა შეცდომაში მოწინააღმდეგე. ჰემელი ქვეითთა ნაღმივით მოულოდნელად აფეთქდებოდა და ვიდრე შეტევაზე გადმოსული გუნდის თავდამსხმელი **"აზრზე მოვიდოდა"**, ჰემელი უკვე მოწინააღმდეგოსათვის ართმეული ბურთით მიჰქროდა მისი კარისაკენ.

სწორედ ამგვარმა **"სიურპრიზმა"** აქცია ჰემელი ეროვნულ გმირად – მან რამდენიმე გადამწყვეტი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ეს მოხდა ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ტურნირებზე, როცა ჰემელი **"სელტიკის"** შემადგენლობაში გამოდიოდა.

ორ ფინალში ამ გუნდმა გამარჯვებას სწორედ ჰემელის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლების წყალობით მიაღწია. ეს მოხდა ჯერ 1967 წელს, როცა **"სელტიკი"** მილანის **"ინტერს"** შეხვდა, და 1970 წელს, როცა შოტლანდიელთა გუნდმა **"ფეინოორდი"** დაამარცხა.

ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ჰემელის თამაშის სტილი სრულად იყო შეთანხმებული **"სელტიკის"** თამაშის მანერასთან, რამაც განაპირობა კიდეც ამ გუნდის თითქმის დაუჯერებელი წარმატება 60-70-იან წლებში. ტომი ჰემელმა უამრავ სპორტულ ჯილდოს მოუყარა თავი, შემდეგ კი **"ნოტინგემ ფორესტში"** გადავიდა, სადაც დაასრულა კიდეც ბრწყინვალე სპორტული კარიერა.

ფრანცისკო ჰენტო

დაიბადა 1933 წლის 22 ოქტომბერს, ესპანეთში

თამაშობდა კლუბებში **"სანტანდერი", "რეალი"** მადრიდი, ესპანეთი.

1950-1960-იანი წლების მართლაც შეუდარებელი გუნდი მადრიდის რეალი ბრწყინავდა არა მხოლოდ ალფრედო დი სტეფანოსა და ფერენც პუშკაშის შესანიშნავი თამაშის წყალობით. მოწინააღმდეგე გუნდის დაცვას და მეკარეს რისხვად ევლინებოდა ხოლმე სწრაფი და მოუხელთებელი ფრანცისკო ჰენტო, რომელსაც განიმეორებელი მონაცემების წყალობით ფეხბურთის სამყაროში იცნობდნენ როგორც **"ელ სუპერსონიკოს" ("ზესწრაფს")**. იგი უსახურ გინდ **"სანტანდერში"** შეამჩნიეს მწვრთნელებმა და წამსვე **"რეალში"** მიუჩინეს ადგილი. ეს მოხდა 1953 წელს. მაშინ ჰენტოს სისწრაფის მეტი არაფერი გააჩნდა საკუთარ საბრძოლო არსენალში. მისდა საბედნიეროდ, ჰენტოს მეწყვილე მაშინ გახლდათ გამოცდილი მარცხენა ინსაიდი ხოსე ჰექტორ რიალი, რომლისგანაც ახალგაზრდა ფეხბურთელმა უამრავი რამ ისწავლა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ჰენტო დღემდე რჩება იმ იღბლიან ფეხბურთელად, რომელმა ექვსჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. **"რეალში"** ჩატარებულ 800 მატჩში მან 256 გოლი გაიტანა, 12-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და 43-ჯერ მიიღო მონაწილეობა ესპანეთის ნაკრების მიერ გამართულ მატჩებში, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა რეალური კონკურენტი მადრიდის **"ათლეტიკოს"** თავდამსხმელის ენრიკე კოლაროს სახით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი მიხეილ მესხიც, რომელიც მიწვეული იყო მსოფლიო საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. ამ ნაკრებს საიუბილეო მატჩი უნდა გაემართა ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ, ფეხბურთის ასი წლისთავთან დაკავშირებით. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ ფეხბურთის **"მამებმა"** მიხეილ მესხის ნაცვლად მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ფრანცისკო ჰენტო მიიწვიეს, რაც ფეხბურთის უამრავმა ცნობილმა სპეციალისტმა უსამართლოდ მიიჩნია.

სერჟიო ხავიერ გოიკოეჩეა

დაიბადა 1967 წლის 17 ოქტომბერს, არგენტინაში

თამაშობდა კლუბებში **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა), **"მილიონარისი"** (კოლუმბია), **"რესინგი"** (არგენტინა), **"ბრესტი"** (საფრანგეთი), **"სერო პორტენიო"** (პარაგვაი), **"რივერ პლეიტი", "დეპორტივო მანდიუ"** (არგენტინა.)

სერჟიო ხავიერ გოიკოეჩეამ უბადლო ფეხბურთელის სახელი მოიხვეჭა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე – მისი აღმოჩენა სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ ფეხბურთის სამყაროსათვის, თუმცა ამას უფრო არასასიამოვნო მოულოდნელობად მიიჩნევდნენ არგენტინის ნაკრების მოწინააღმდეგეები. პირველად იგი საფეხბურთო მოედანზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატში გამოჩნდა, როცა დაძაბულ მატჩში ფეხი მოიტეხა არგენტინელთა ცნობილმა გოლკიპერმა ნერი პუმპიდუმ.

სწორედ გოიკოეჩეას უბადლო თამაშმა, მის მიერ მატჩისშემდგომ თერთმეტმეტრიანების სერიაში აუღებელი ბურთების აღებამ განაპირობა ის, რომ არგენტინელმა ფეხბურთელებმა ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილეს გზიდან იუგოსლაველები და იტალიელები. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ხავიერ გოიკოეჩეას ექვსი თვე გაუცდა და არაფერი უკეთებია კოლუმბიის **"მილიონარისში"** ყოფნისას, ამ ქვეყანაში განვითარებული მწვავე პოლიტიკური სიტუაციის გამო. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ხავიერ გოიკოეჩეა გადავიდა საფრანგეთის მეორეხარისხოვან, მაგრამ დიდი ამბიციების მქონე გუნდ **"ბრესტში"**. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გუნდი მალე ფინანსურად გაკოტრდა და ხავიერ გოიკოეჩეა კოლუმბიის გავლით მშობლიურ არგენტინაში დაბრუნდა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

მსახური ქალი:
– თუ არ მენდობი, ჩემო ქალბატონო, ჯობს წავიდე აქედან, რაღა აზრი აქვს?
– როგორ არ გენდობი, ჩემი ძვირფასეულობის ზარდახშის გასაღებიც კი განდე.
– კი, მაგრამ არ მოერგო...
* * *

ლექტორი:
– თქვენ სამს მოგმართავთ, გეყოთ ერთმანეთისათვის ჩანაწერების გადაწოდება!
– ეს ჩანაწერები არაა, პრეფერანსს ვთამაშობთ.
– ააა, მაშინ, ბოდიში.
* * *

საახალწლო სადღეგრძელო: მოდით, ამ ახალ წელს ვისურვოთ, რომ კრიზისი მხოლოდ დამკრძალავ ბიუროებს დაუდგეთ.
* * *

ყველაზე დიდი წამება ქალისათვის: უნდა უყიდო უამრავი ლამაზი ტანსაცმელი, კოსმეტიკა, ფეხსაცმელი და ჩაკეტო უსარკეო ოთახში...
* * *

ოსი შედის მაღაზიაში და გამყიდველ ქალს ეკითხება:
– ქვედა საცვალი გაქვთ?
– არა!
– არც გასაყიდი?
* * *

– გამარჯობათ, ჩვენ ქვემოთ მცხოვრები მეზობლები ვართ!
– დიახ, გისმენთ.
– იქნებ ონკანი დაკეტოთ აბაზანაში, თორემ ფეხი დაგისველდებათ, გაცივდებით და მოკვდებით, თუ არა და, ჩვენ ჩაგაძაღლებთ...

ხელისუფლება უნივერსიტეტს ხურავს

საქინფორმისთვის სანდო და ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროსგან ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტს (თეუსუ) აუქმებს და მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს უერთებს.

გაუგებარია, განათლებაზე „მზრუნველი“ ხელისუფლება თბილისში ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტს რატომ ხურავს, მაშინ, როცა მთელი ქვეყნის გასაგონად გაიძახის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყველანაირად ეხმარებიან.

თეუსუ-ს რექტორის თანაშემწემ ლეილა წიკლაურმა საქინფორმს დაუდასტურა, რომ მთავრობა მათი უნივერსიტეტის გაუქმებასა და თსუ-სთან შეერთების საკითხს განიხილავს. მათ არც უნივერისტეტის გაუქმების მიზეზი იციან და არც ის, თუ რა ბედი ელით უნივერისიტეტის პედაგოგებსა და სტუდენტებს, შეუნარჩუნდებათ თუ არა პედაგოგებს საათები.

აღნიშნულ უნივერსიტეტში მუშაობს პროფესორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე და საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი, რომელმაც რამდენიმე ხნის წინათ საქინფორმში ანალიტიკური სტატია გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები მისთვის შოკისმომგვრელია და მიუთითა, რომ დღეს ჩვენ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

რატომ გახდა აუცილებელი უნივერისტეტის დახურვა, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში დიდი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს, დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიგვნდვია.

საქართველოში მოსახლეობის 70 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ორი დღის წინათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასა და რეგიონალური განვითარების მინისტრ რამაზ ნიკალიშვილს შეხვდა და მათგან ის პრობლემები მოისმინა, რაც ამ სამინისტროებში არსებობს. შეხვედრის მსვლელობისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 19-20%-მდე შემცირდა.

მისი თქმით, შეიცვალა სიღარიბის სტრუქტურაც. კერძოდ, თუ ადრე ამ 50%-ს არ ჰქონდა არც დაზღვევა და სხვა დახმარება, დღეს მილიონი ადამიანი დაზღვეულია. ყოველდღიური რეალობა კი სხვა ფაქტებზე მიუთითებს. სტატისტიკის დეპარტამენტის ვებგვერდზე მითითებულია, რომ დღეს დასაქმებულთა რაოდენობა უმუშევრებზე ორჯერ მეტია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა შესახებ კი ინფორმაცია სტატისტიკის დეპარტამენტს საერთოდ არ გააჩნია. საქინფორმი შეეცადა, ეკონომიკის ექსპერტ გია ხუხაშვილთან გაერკვია, შეესაბამება თუ არა პრეზიდენტის მოსაზრებები რეალობას.

როგორც ექსპერტმა საქინფორმს განუცხადა, პრეზიდენტი შორს დგას ქართული რეალობისგან და მისი ნათქვამი არ ჰგავს საქართველოს პირველი პირის განცხადებას. **„ჩვენ ვხედავთ ყოველდღიურად როგორ იზრდება სასურსათო კალათის ღირებულება ქვეყანაში და მსუბუქდება მოქალქეთა ჯიბეები. შესაბამისად, არ ხდება სოციალური სფეროს ინდექსაცია. პენსიები და ხელფასები რომ მომატებულიყო, სააკაშვილის ამ ფრაზებში კიდევ შეიძლებოდა ლოგიკის მოძებნა. გარდა ამისა, დღეს საქართველოში მხოლოდ უმუშევრები არ არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა, ის ადამიანებიც შიმშილობენ, ვინც მუშაობს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათი ხელფასი ვერ სწვდება იმ სასურსათო კალათის ღირებულებას, რაც ოჯახს სჭირდება ერთი თვის განმავლობაში,''**–განუცხადა საქინფორმს ეკონომიკის ექსპერტმა. გარდა ამისა, **IND**-ს გამოკითხვით, საქართველოში 70%-ზე მეტი ღარიბი ადამიანი ცხოვრობს.

„McDonald“-ის პროდუქტები ჯანმრთელობისათვის მავნეა

ამ დასკვნამდე მივიდა ამერიკელი მხატვარი ქალი, რომელმაც ექსპერიმენტი ჩაატარა. ნიუიორკელმა სალი დევისმა ჰამბურგერი აპრილში იყიდა და სამზარეულოში დადო, რათა თვალ-ყური ედევნებინა, როგორ შეიცვლებოდა საკვები დროთა განმავლობაში. ნახევარი წლის განმავლობაში საკვებზე ობიც კი არ გაჩენილა. ამასთან, **„იგი პლასტმასს ჰგავს, აკრილის ბრწყინვალებით“.**
რამდენად საზიანოა **„McDonald“**-ის საკვები ორგანიზმისთვის, ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი. საკვები, რომელიც 6 თვის განმავლობაში არ იხრწნება, სასარგებლო არ იქნება ადამიანისთვის, უფრო ზუსტად, მავნეა ადამიანის ორგანიზმისთვის. მიუხედავად ამისა, ასე არ ფიქრობს საქართველოში **McDonald's**-ის დამაარსებელი თემურ ჭყონია. იგი უარყოფს, რომ **„McDonald“**-ის ქსელში ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქცია იყიდება: **"პროდუქცია იმ ხორცისგან მზადდება, რომელზეც საგანგებო ნებართვა არსებობს. ჩვენ არ შეგვიძლია სხვაგან შევიძინოთ პროდუქცია. წარმოებაში მხოლოდ სერთიფიცირებული და სათაო ოფისიდან ნებადართული ხორცის ნედლეულს ვიყენებთ, რომელიც საგულდაგულოდაა შემოწმებული. „McDonald“ის ფონიჭალაში თანამედროვე სტანდარტული მაცივარი აქვს, სადაც შემოტანილი ხორცი საგანგებო რეჟიმში ინახება“.**

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27